ფონდი ''ღია საზოგადოება-საქართველო''

წლიური ანგარიში

2005

www.osgf.ge

ფონდი “ღია საზოგადოება-საქართველო”
თბილისი 0108
ჭოველიძის ქ. 10
ტელ: (995 32) 25 04 63
ფაქსი: (995 32) 29 10 52

kartuli@osgf.ge
www.osgf.ge

დიზაინი და ბეჭდვა: შ.პ.ს. “სი-ჯი-ეს“ (კალამუს გრაფიკის სტუდია)

სარჩევი

- ❑ წინათქმა 4
- ❑ პროგრამები 7

სამართლის პროგრამა 7

საჯარო ადმინისტრირების და ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა 10

საქართველოს შემოსავლების მეთვალყურეობის პროგრამა 13

მასმედიის მხარდაჭერის პროგრამა 15

ინტეგრაციის პროგრამა 20

ეკონომიკური განვითარების პროგრამა 24

ქალთა პროგრამა 26

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა 36

საინფორმაციო პროგრამა 40

მთარგმნელობითი პროგრამა 43

ხელოვნებისა და კულტურის პროგრამა 45

პროგრამა "აღმოსავლეთი აღმოსავლეთი" 51

საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი 59

აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა 62

- ❑ ფონდის "ღია საზოგადოება-საქართველო" სტრუქტურული სქემა 66
- ❑ 2005 წლის ბიუჯეტი 67
- ❑ ფინანსური აუდიტის დასკვნა

წინათქმა

2005 წლის განმავლობაში ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ ძირითადად წინა წელს შემუშავებული სტრატეგიისა და პროგრამების ფარგლებში მუშაობდა.

ფონდის პრიორიტეტებად რჩებოდა: კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა; სამოქალაქო სექტორისა და დამოუკიდებელი მედიის განვითარება; კონფლიქტების დარეგულირების საქმეში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის მხარდაჭერა და აქცენტის გადატანა კონფლიქტურ მხარეთა შორის ნდობის მშენებლობაზე; საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური საგარეო პოლიტიკური არჩევანის მხარდაჭერა, სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის წახალისების გზით, კვლავ წარმოადგენდა ფონდის პრიორიტეტს 2005 წლისათვის.

ფონდი კვლავინდებურად მხარს უჭერდა: ქალთა ინიციატივებს; ბრძოლას ტრეფიკინგისა თუ ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ; განათლებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემების რეფორმირებას; ხელოვნებასა და კულტურას; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისებასა და გამოყენებას ქართული საზოგადოებისა და ხელისუფლების მიერ.

ყოვლისმომცველი ამოცანა იყო: პოსტრევოლუციური დემოკრატიული გარდაქმნების მხარდაჭერა ეფექტური მმართველობის მექანიზმებისა და მისი არსებითი კომპონენტის – საზოგადოებრივი მონაწილეობის გაძლიერებით.

საანგარიშო პერიოდში არაერთი პროექტი დაიწყო თუ გაგრძელდა ამ მიმართულებებით. სამართლის პროგრამა, როგორც საგრანტო კომპონენტით, ასევე შიდაოპერაციული საქმიანობით, აქტიურ როლს თამაშობდა საქართველოში უფასო იურიდიული დახმარების სისტემის დამკვიდრების საქმეში. ამავე პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა კანონშემოქმედებით პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის ხელშეწყობა. სამართლის პროგრამა მხარს უჭერდა სამართალდამცავი სისტემის რეფორმირებას საზოგადოებრივი პროკურატურის მოდელის პოპულარიზაციისა და დანერგვის მიმართულებით. პროგრამის ფარგლებში ჩატარდა პოლიციისა და შეიარაღებული ძალების რეფორმირების თემისადმი მიძღვნილი ორი საერთაშორისო კონფერენცია.

საჯარო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი მმართველობის პროგრამის მიერ მხარდაჭერილ იქნა კვლევითი პროექტი „საქართველოში კეთილსინდისიერი ქცევის უზრუნველმყოფი ეროვნული სისტემის პარამეტრების დადგენა“. იგი ეძღვნებოდა კორუფციის წინააღმდეგ მოქმედი სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობის, ეფექტურობის, ამ ინსტიტუტთა შორის კოორდინირების ხარისხის შესწავლას. იმავე პროგრამის ფარგლებში დაიწყო შიდა პროექტის – „ელექტრონული გამჭვირვალობის დანერგვა საქართველოში“ განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავს ხელისუფლების ანგარიშვალდებულების მექანიზმთა განვითარებას, რისთვისაც ხორციელდება შესაბამისი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების სამართლებრივი და ტექნიკური მზაობის დონის შესწავლა, რეკომენდაციების შემუშავება და ამ რეკომენდაციათა ადვოკატირება.

ეკონომიკური განვითარების პროგრამა კვლავინდებურად მუშაობდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებსა და კონფლიქტის ზონებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს ფორმირების მიმართულებით. იმავდროულად, 2005 წელს დაიწყო შიდა პროექტის – „უმუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების ხელშემწყობი პროგრამა“ – განხორციელება. პროექტის მიზანია სახელმწიფო სამსახურიდან დათხოვილ ადამიანთა დასაქმების ალტერნატიული მოდელების შექმნა.

2005 წელს სრული დატვირთვით ამოქმედდა ინტეგრაციის პროგრამა. კონფლიქტის ზონებში, ფონდის მიერ ადრე განხორციელებული აქტივობების ფარგლებში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, პროგრამამ გააგრძელა მუშაობა კონფლიქტის მხარეთა შორის ნდობის მშენებლობის მიმართულებით. ამავე დროს პროგრამა განაგრძობდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მექანიზმების შემუშავებაში არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობის მხარდაჭერას. ამ უკანასკნელი მიმართულებით, ჰაინრიხ ბიოლისა და ევრაზიის ფონდების თანამონაწილეობით, პროგრამამ უზრუნველყო ათეულობით ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევა საქართველოსათვის განკუთვნილი ევროპის კავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისათვის რეკომენდაციების შემუშავების პროცესში. რეკომენდაციათა პაკეტი გადაეცა ევროკომისიის დელეგაციას თბილისში და საქართველოს მთავრობას.

2005 წელს მომდინარეობდა ფონდის შიდა პროექტის – „შემოსავლების მეთვალყურეობის პროგრამა“ – განხორციელება. ამ პროექტის ფარგლებში მუშავდებოდა ანგარიში მოპოვებითი მრეწველობისა და ენერგომატარებლების ტრანსპორტირების სექტორებიდან მიღებული შემოსავლების გამჭვირვალობის ხარისხის შესახებ. ამავე პროექტის ბაზაზე საფუძველი ჩაეყარა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციას „საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის“.

მასმედიის მხარდაჭერის, ქალთა, მთარგმნელობითი, საინფორმაციო, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ხელოვნებისა და კულტურის პროგრამები მუშაობდნენ ადრე დამტკიცებული

სტრატეგიების შესაბამისად. ამავე დროს ფონდის ბაზაზე მოქმედებდა ქსელური პროგრამა „აღმოსავლეთი-აღმოსავლეთი“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის ხელშეწყობა. გრძელდებოდა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ორიენტირებული საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრისა და აკადემიური მხარდაჭერის რეგიონალური პროგრამის მუშაობაც.

2005 წლის მაისში ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველო“ თავისი მოღვაწეობის ათი წლისთავი აღნიშნა. საიუბილეო ღონისძიებას დაესწრო ღია საზოგადოების ინსტიტუტისა და ეროვნული ფონდების დამაარსებელი ბატონი ჯორჯ სოროსი. მას ჰქონდა შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და ფონდის თანამშრომლებთან. შეხვედრებზე გაჩნდა აზრი, რომ ახალ ვითარებაში, რომელშიც საქართველო 2003 წლის რევოლუციის შემდეგ აღმოჩნდა, ფონდის მუშაობაცა და სტრუქტურაც უცვლელი ვერ დარჩებოდა. შედეგად გადაწყდა, რომ ფონდის ადმინისტრაციასა და აღმასრულებელ საბჭოს შეემუშავებინა ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ ახალი, 2006 - 2008 წლების სტრატეგია და გარდაექმნა ფონდის სტრუქტურაც, თუ იგი ამის დასაბუთებულ საჭიროებას დაინახავდა.

2005 წლის ზაფხული ფონდის რეფორმირების კონცეფციის შემუშავებას დაეთმო. სექტემბერში აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა ახალი სტრატეგია და სტრუქტურა, რაც რეფორმების კონცეფციაში იქნა ასახული. ამავე დროს ღია საზოგადოების ინსტიტუტს ეთხოვა, რომ ახალი პრიორიტეტებით და სტრუქტურით მუშაობა შესაძლებელი ყოფილიყო 2005 წლის დასრულებამდე. 2005 წლის ნოემბერში დაიწყო რეფორმების კონცეფციის განხორციელება.

რეფორმირების არსებრივი საფუძველია ფონდის მიერ შემუშავებული და შეთანხმებული შეხედულება, რომ ქვეყანაში მიმდინარე რადიკალური ტრანსფორმაციის პროცესს, რასაც, როგორც სახელისუფლო პირამიდის, ისე სამოქალაქო ორგანიზაციების შემადგენლობის მნიშვნელოვანი ცვლილებები ახლავს თან, უფრო სწრაფი და პროაქტიური პასუხი სჭირდება. გარდა ამისა, ფონდის ფინანსური შესაძლებლობები არაა საკმარისი ყველა მიმართულებით ეფექტური ძალისხმევისათვის და, სასურველია, პრიორიტეტების ხელახლა გამოკვეთა. შესაბამისად გადაწყდა, რომ საგრანტო კონკურსების პარალელურად სულ უფრო მზარდი ყურადღება დაეთმობა ე. წ. პარტნიორულ პროექტებს, რაც გულისხმობს მოლაპარაკების საფუძველზე გამოცდილი პარტნიორების პროექტთა მხარდაჭერას და მიდა პროექტებს. ასევე გადაწყდა, მეტი ყურადღება დაეთმის ახალგაზრდა სახელისუფლო სტრუქტურების უნარების ზრდის ხელშეწყობას.

ახალი კონცეფციის თანახმად, ფონდის მისიას წარმოადგენს ღია საზოგადოების მშენებლობისათვის საჭირო სტრუქტურული და კულტურული ტრანსფორმაციის აქტიური ხელშეწყობა. ფონდის პროგრამების ფუნქციონირებას პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონდეს აღნიშნულ მისიასთან. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვალა პროგრამების კონსოლიდაცია, მათი ამოცანების შემდგომი დაკონკრეტება.

2005 წლის ნოემბრიდან დაიხურა ინფორმაციის, მთარგმნელობითი, ასევე ხელოვნებისა და კულტურის პროგრამები. სამართლის პროგრამა, შემოსავლების მეთვალყურეობის პროგრამა და საჯარო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა გაერთიანდა კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამად. მასვე დაეკისრა კონკრეტული, სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტების ფარგლებში ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობაც. ინტეგრაციის პროგრამის ბაზაზე შეიქმნა ახალი, ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამა, რომელმაც მთარგმნელობითი პროგრამის, ხელოვნებისა და კულტურის პროგრამის ის ასპექტები შეითავსა, რომლებიც ლიბერალურ განათლებას და საზოგადოებრივ-პოლიტიკური კულტურის კვლევას ეხება. მასმედიის მხარდაჭერის პროგრამის ბაზაზე კი შეიქმნა მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამა. მას, დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებების მხარდაჭერასთან ერთად, სამოქალაქო ორგანიზაციების წინაშე წარმოშობილი ახალი პრობლემების გადაწყვეტაც დაეკისრა. ახალი კონცეფციის მიხედვით, შენარჩუნებულ იქნა ქალთა, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამები, მაგრამ მეტი ყურადღება დაეთმო მათ თანამშრომლობას ფონდის ახალ სტრუქტურულ დანაყოფებთან. ასე მაგალითად, კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის თანამშრომლობითა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქსელური პროგრამების მხარდაჭერით გადაწყდა ახალი მიმართულების – სამართალი და ჯანდაცვა – ათვისება.

2005 წლის მიწურულს საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ორგანიზაციად.

დავით დარჩიაშვილი
ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ აღმასრულებელი დირექტორი

www.osgf.ge

პროგრამები

სამართლის პროგრამა

პროგრამის მიზანი იყო კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობის ხელშეწყობა, საზოგადოების მონაწილეობისა და ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა საზოგადოებამ გაათვითცნობიეროს საკუთარი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებაში; საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი გარანტიებისა და მექანიზმების დამკვიდრება, სასამართლო სისტემასა და სამართალდამცავ ორგანოებში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა და პროცესის გამჭვირვალობის ზრდა.

2005 წელს პროგრამა მუშაობდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- ❑ საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების შექმნა;
- ❑ უფასო იურიდიული დახმარების სისტემის დანერგვა საქართველოში;
- ❑ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ინტერესების დაცვა.

სამართლის პროგრამის საქმიანობის მხარდაჭერას ფონდთან ერთად ახორციელებდა ღია საზოგადოების ქსელური პროგრამა - ადამიანის უფლებები და კარგი მმართველობა, რაც გამოიხატებოდა გარკვეული პროექტების თანადაფინანსებაში.
2005 წლის ნოემბერში სამართლის პროგრამა იქცა კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამის ნაწილად და გაერთიანების შედეგად იგი ხორციელდება, როგორც შესაბამისი პროგრამის მიმართულება - „ადამიანის უფლებები და კარგი მმართველობა“. ამ პროგრამაში ასევე გაერთიანდნენ საჯარო ადმინისტრირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა და საქართველოს შემოსავლების მეთვალყურეობის პროგრამა.

პროგრამული აქტივობები

კავშირი „დემოკრატიული არჩევანი საქართველოს“	დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების დახვეწა *დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების (დმკ) მუშაობის ეფექტურობის ამაღლება; მომხმარებელთა უფლებების დარღვევების შემცირება; მომხმარებელთა ინტერესების დაცვის საქმეში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და ფორმირება; სასამართლოში მომხმარებელთა სარჩელების ოპერატიულად გადაწყვეტის ხელშეწყობა.*	$ 25 634
იმერეთის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია „საჩინო“	ქ. ქუთაისის სახელმწიფო საგანმანათლებლო უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივი მონიტორინგი *ქ. ქუთაისის სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმების დამკვიდრება და განვითარების ხელშეწყობა; სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების ინტერესების დაცვის ხელშეწყობა; კორუფციის დონის შემცირება.*	$ 16 993
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი	სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა კანონშემოქმედებით პროცესში *საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების შექმნის გზით საკანონმდებლო პროცესში ჩართვა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა; საპარლამენტო განხილვებში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა.*	$ 14 030

საინიციატივო ჯგუფი	სტიქია და დაზარალებულთათვის დახმარება *დუშეთის რაიონში სტიქიით მიყენებული ზარალის და დაზარალებულთა აღრიცხვის ობიექტურობის შესწავლა, დაზარალებულთათვის გამოყოფილი სამთავრობო და ჰუმანიტარულ დახმარებათა განაწილება; საკითხის შესწავლის შედეგებზე მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი ტელევიზიის საშუალებით.*	$ 2 288
ფონდი „ალპე“	პოლიციაზე ზედამხედველობის სამოქალაქო საბჭოები *პოლიციასთან არსებული საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოების განვითარება (თბილისი, გორი, ბათუმი, ზუგდიდი, თელავი) შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის ეფექტური და სამართლიანი სისტემის დამკვიდრების მიზნით.*	$ 8 004
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	ტელდერსის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესები *თსუ სამართლის და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფის მომზადება და გამგზავრება ტელდერსის საერთაშორისო სამართლის იმიტირებულ სასამართლოში მონაწილეობის მისაღებად.*	$ 7 412
საინიციატივო ჯგუფი	რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრი *რელიგიური საკითხების შემსწავლელი ქმედითუნარიანი ცენტრის შექმნა, ერთი მხრივ, რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის, ტოლერანტობის სულისკვეთების გაღრმავებისთვის ხელის შეწყობა და, მეორე მხრივ, აღნიშნულ თემებზე ინფორმაციული ვაკუუმის შევსება.*	$ 7 595
იუსტიციის სასწავლო ცენტრი	საქართველოს ერთიანი არასამეწარმეო რეესტრი *ერთიანი საძიებო ბაზის შექმნა და პირველად საქართველოში ერთიანი არასამეწარმეო რეესტრის გამოქვეყნება ბეჭდური სახით.*	$ 3 000
საინიციატივო ჯგუფი	კონფერენცია საქართველოს თავდაცვის საკითხებზე *ყველა პარტნიორი ორგანიზაციის მონაწილეობით ეროვნული სამხედრო სტრატეგიის, ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტების, თავდაცვის ბიუჯეტის,შეიარაღებულ ძალებში სამართლებრივი და უფლებრივი მდგომარეობის საკითხებზე კონფერენციის ორგანიზება.*	$ 6 170
საქართველოს პოლიციის აკადემია	საქართველოს პოლიციის აკადემიის მხარდაჭერა ***COLPI**-ის სასწავლო მოდულების დანერგვის მიზნით საქართველოს პოლიციის აკადემიისთვის კომპიუტერული ტექნიკის გადაცემა.*	$ 1 930
ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ სამართლის პროგრამის შიდა პროექტი	იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა საქართველოში *საქართველოში მდგრადი იურიდიული დახმარების სისტემის შექმნის ხელშეწყობა; სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.*	$ 19 958

საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური	საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის შექმნა *საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის ორი ტერიტორიული ბიუროს პილოტირება; სოციალურად დაუცველი ფენისთვის იურიდიული დახმარების გაწევა; ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა და ადვოკატთა ანგარიშვალდებულებისთვის სათანადო მექანიზმების შექმნა.*	$ 58 498
ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ სამართლის პროგრამის შიდა პროექტი	კანონიერების კულტურა *ანტიკორუფციულ საკითხებზე საგაზეთო ჩანართების და რუბრიკის „შეკითხვები მთავრობას“ მომზადება და გამოქვეყნება; პროექტის ფარგლებში სკოლის მოსწავლეების შეხვედრების მოწყობა პარლამენტის წევრებთან, მინისტრებთან, მოსამართლეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და ა.შ.; შეხვედრების მიზანი: მსჯელობა ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ირგვლივ.*	$ 6 000
ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ სამართლის პროგრამის შიდა პროექტი	საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის მოდელის დამკვიდრება საქართველოში *საქართველოში საზოგადოებრივი პროკურატურის მოდელის დანერგვით საქართველოს პროკურატურის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა; დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და საზოგადოების ინტერესების დაცვის მიმართულებით პროკურატურის ორგანოების მუშაობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.*	$ 23 330
ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ სამართლის პროგრამის შიდა პროექტი	საერთაშორისო კონფერენცია „პოლიციის რეფორმები 21-ე საუკუნეში: ღირებულებები, სისტემები და გამოწვევები“ *ღია საზოგადოების სამართლებრივი ინიციატივისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით რეფორმის დეტალური სქემის ჩამოყალიბებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება თემაზე: „პოლიციის რეფორმები 21-ე საუკუნეში: ღირებულებები, სისტემები და გამოწვევები“.*	$ 29 091
ღია საზოგადოება სამართლებრივი ინიციატივისა და ღია საზოგადოების ქსელური პროგრამის მიერ საქართველოში ჩატარებული ღონისძიებები (კონფერენციები, შეხვედრები, სამუშაო ვიზიტები).		$ 103 828
		სულ: $ 333 761

პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი:		157 000
დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან	ღია საზოგადოების ინსტიტუტი(OSI):	160 506
	ფონდის სხვა პროგრამები:	2 660
	ღია განკარგვის ფონდი (ODF):	13 595
	მესამე წყარო:	0
სულ პროგრამული აქტივობებისათვის განკუთვნილი თანხა:		333 761
ადმინისტრაციული ბიუჯეტი:		16 976



საჯარო ადმინისტრირების და ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა

პროგრამის ძირითადი მიზანი იყო დეცენტრალიზაციის პროცესისა და საჯარო სამსახურის რეფორმის ხელშეწყობა, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განვითარება.

2005 წელს პროგრამა მუშაობდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა;
- საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ყოფილი საჯარო მოხელეების გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამა;
- საჯარო სამსახურის რეფორმის ხელშეწყობა.

2005 წლის ნოემბერში საჯარო ადმინისტრირების და ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა იქცა კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამის ნაწილად და ამ დროიდან ხორციელდება, როგორც ამ პროგრამის „საჯარო ადმინისტრირების და ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულება".

პროგრამული აქტივობები

ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო", ღია საზოგადოების ინსტიტუტის და ადგილობრივი თვითმმართველობების ინიციატივების ერთობლივი პროექტი	ელექტრონული გამჭვირვალობის დანერგვა საქართველოში *თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით სამთავრობო სტრუქტურების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდა; კორუფციის შემცირება; სამართლებრივი, პოლიტიკის შემუშავების, კვალიფიკაციის ამაღლების, თანამშრომლობის დამყარების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები.*	$ 200 000
საინიციატივო ჯგუფი	ქ. თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისათვის, საქალაქო და რაიონული სამსახურების, რაიონული გამგეობების ხელმძღვანელების და აპარატის შესაბამისი თანამშრომლების ტრენინგი *ქ. თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისათვის, საქალაქო და რაიონული სამსახურების, რაიონული გამგეობების ხელმძღვანელების და აპარატის შესაბამისი თანამშრომლების ტრენინგების მომზადება და ჩატარება.*	$ 8 215
სამოქალაქო განათლების ახალგაზრდული ცენტრი	დეცენტრალიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯის ხელშეწყობა *კულტურის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოებისათვის უფლებამოსილებათა გადასაცემად სრულყოფილი საკანონმდებლო პაკეტის ცვლილებების მომზადება; შესაბამის სფეროში ადგილობრივი კადრების მომზადება.*	$ 12 858
საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსების სრულყოფის კამპანია ქ. თბილისში *ქ. თბილისში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის 2005 წლის პროგრამების მონიტორინგი და ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ინფორმირების კამპანიის წარმართვა; ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამების 2006 წლის ბიუჯეტში ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.*	$ 14 130

სამოქალაქო განვითარების სააგენტო	100 თვალი, 100 ყური *ქ. რუსთავში ანტიკორუფციული საქმიანობის წარმართვა ორი მიმართულებით: ანტიკორუფციული გარემოს შექმნა და ანტიკორუფციული პროპაგანდის წარმართვა საინფორმაციო ფურცლების მეშვეობით; ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ჟურნალისტების, სტუდენტების, ეროვნული უმცირესობების და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ანტიკორუფციული პატრულის ამოქმედება.*	$ 14 970
კავშირი „პარტნიორობა ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესებისათვის“	სუფთა ქალაქი *ქ. თბილისის დასუფთავების სისტემის რეორგანიზაცია (დეცენტრალიზაცია); ქ. თბილისის გამგეობების დასუფთავების სამსახურის მუშაობის მონიტორინგი; დასუფთავების სისტემის ალტერნატიული მოდელების შემუშავება; არსებული და ალტერნატიული მოდელების შედარებითი ანალიზი და საუკეთესოს გამოვლენა; გამოვლენილი საუკეთესო მოდელის განხორციელების აქტიური ლობირება.*	$ 14 988
რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საკრებულოთა ასოციაცია	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალე მექანიზმების ამუშავების ხელშეწყობა *ამბროლაურის რაიონში ყველა თვითმმართველი ერთეულის ფარგლებში შემდეგი სამუშაოების ჩატარება: საკონსულტაციო დახმარება ბიუჯეტის შედგენაში, განხილვაში და მისი შესრულების კონტროლში; თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგიის შექმნა; საქმისწარმოების მოწესრიგება; თვითმმართველობის ლიდერთათვის მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხებზე სემინარის ჩატარება.*	$ 12 033
ზაქარია ქუცნაშვილი	კანონი ხალხისათვის *ქვეყანაში მიმდინარე და მომავალში ადგილობრივი თვითმმართველობისა და საჯარო სამსახურის სფეროში განსახორციელებელი რეფორმების შესახებ რადიოგადაცემათა ციკლის "კანონი ხალხისათვის" მომზადება.*	$ 9 056
საინიციატივო ჯგუფი " ინფო"	გამჭვირვალობის გაზრდა საზოგადოების ინფორმირების გზით *ქ. ქუთაისის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის და არასამთავრობო ორგანიზაციათა ინფორმირება სპეციალური სტენდების და ელექტრონული გვერდის მეშვეობით.*	$ 14 994
საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია	ზრდასრულთა ტრენერების/განათლების ორგანიზატორების მომზადება საქართველოს 10 რეგიონისათვის *საქართველოს 10 რეგიონიდან ზრდასრულთა ტრენერების/განათლების ორგანიზატორებისთვის ხუთდღიანი ტრენინგ-პროგრამა.*	$ 3 500
ფონდი „ჰორიზონტი“	მსოფლიოს შემფასებელთა ასოციაციების გაერთიანების ეგიდით შეფასების საკითხებისადმი მიძღვნილი პროფესიული ტრენინგის თანადაფინანსება *მსოფლიოს შემფასებელთა ასოციაციების გაერთიანების ეგიდით შეფასების საკითხებისადმი მიძღვნილი პროფესიული ტრენინგის თანადაფინანსება: ტრენერის მგზავრობა, ჰონორარი, გამასპინძლების ხარჯების დაფარვა.*	$ 2 722

ფონდის „ღია საზოგადოება საქართველო" საჯარო ადმინისტრირების და ადგილობრივი თვითმმართველობის და ეკ. განვითარების პროგრამების ერთობლივი შიდა პროექტი	უმუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების ხელშემწყობი პროგრამა *საჯარო სამსახურების ყოფილი თანამშრომლების შერჩევა და გადამზადება არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის და პროექტების შემუშავების, ასევე მცირე ბიზნესის წამოწყების საკითხებზე.*	$ 35 000
კანონის უზენაესობის და საჯარო ადმინისტრირების პროგრამის შიდა პროექტი	კონფერენცია: სტიქია და ეკომიგრანტები საქართველოში *კონფერენციის "სტიქია და ეკომიგრანტები საქართველოში" მოწყობა ქ. ბათუმში; ფოტოკონკურსის "სტიქია და ეკომიგრანტები" მოწყობა; აჭარის მთიანი რეგიონების სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარება.*	$ 9 704
მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი	საქართველოში კეთილსინდისიერი ქცევის უზრუნველმყოფი ეროვნული სისტემის პარამეტრების განსაზღვრა *ქვეყანაში ინსტიტუციური მდგრადობის შეფასება კვლევის საფუძველზე; საქართველოს ხელისუფლებისთვის ანტიკორუფციული პოლიტიკის განმტკიცებისა და მმართველობით სისტემაში გამჭვირვალობისა და ურთიერთთანამშრომლობის კუთხით არსებული ინსტიტუციური ხარვეზების დაძლევისთვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.*	$ 18 630
თავისუფლების ინსტიტუტი	განათლების რეფორმა საშუალო სკოლებში *განათლების რეფორმის ეფექტურობის გაზრდა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში თვითმმართველობის მექანიზმების დამკვიდრების გზით.*	$ 154 000
მხარდაჭერილი პროექტების	შერჩევის და მონიტორინგის ხარჯი	$ 3 977
		სულ: $528 777

2005 წელს, დამატებით, მიმდინარეობდა წინა წლის ბიუჯეტიდან დაფინანსებული და ჯერ დაუსრულებელი ორი შიდა პროექტის - "საქართველოს საარჩევნო კოდექსის შემუშავებაში არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობის ხელშეწყობა" და "თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების გამჭვირვალობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა" - ადმინისტრირება.

პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი:		323 187
დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან	ღია საზოგადოების ინსტიტუტი(OSI):	275 000
	ფონდის სხვა პროგრამები:	0
	ღია განკარგვის ფონდი (ODF):	0
	მესამე წყარო:	0
ფონდის სხვა პროგრამებისთვის გადაცემული თანხა:		69 410
სულ პროგრამული აქტივობებისათვის განკუთვნილი თანხა:		528 777
ადმინისტრაციული ბიუჯეტი:		17 813



- პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი
- ღია საზოგადოების ინსტიტუტიდან დამატებული თანხა (OSI)
- ადმინისტრაციული ბიუჯეტი (ODF)
- ფონდის სხვა პროგრამებიდან დამატებული თანხა

საქართველოს შემოსავლების მეთვალყურეობის პროგრამა

(ეკონომიკური განვითარების პროგრამის შიდა პროექტი)

შემოსავლების მეთვალყურეობის პროგრამის მიზნები იყო საქართველოს მომპოვებითი მრეწველობისა და ენერგომატარებლების ტრანსპორტირების სექტორებიდან მიღებული შემოსავლების გამჭვირვალობის ხელშეწყობა; სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა მომპოვებითი მრეწველობებიდან და ენერგომატარებლების ტრანსპორტირებიდან მიღებული შემოსავლების მართვისა და გამოყენების პროცესებში.

2005 წელს პროგრამა მუშაობდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- ☐ საქართველოს შემოსავლების საზოგადოებრივი მეთვალყურეობის ხელშეწყობა;
- ☐ მთავრობის ანგარიშვალდებულების დონის ამაღლება;
- ☐ საქართველოში მომპოვებითი მრეწველობების საერთაშორისო ინიციატივის დანერგვის ხელშეწყობა.

2005 წელს პროგრამის მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია - "საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის" და მომზადდა ანგარიში "მომპოვებითი მრეწველობა და ენერგოგადაზიდვები საქართველოში - შემოსავლების გამჭვირვალობის დონის ანალიზი".

2005 წლის ნოემბერში შიდა პროექტი - "საქართველოს შემოსავლების მეთვალყურეობის პროგრამა" - შეუერთდა „კანონის უზენაესობისა და საჯარო ადმინისტრირების პროგრამას" და ამჟამად ამ პროგრამის „საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის მიმართულების" ფარგლებში ხორციელდება.

პროგრამული აქტივობები

ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო" შემოსავლების მეთვალყურეობის პროგრამის შიდა პროექტი	მომპოვებითი და ენერგოტრანზიტის მრეწველობებიდან შემოსავლების საზოგადოებრივი მეთვალყურეობა *საქართველოს მომპოვებითი მრეწველობებისა და ენერგომატარებლების ტრანსპორტირების სექტორებიდან მიღებული შემოსავლების გამჭვირვალობის ხელშეწყობა; სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა მომპოვებითი მრეწველობებიდან და ენერგოტრანზიტიდან მიღებული შემოსავლების მონიტორინგსა და ანალიზში; მთავრობის ანგარიშვალდებულების დონის ამაღლება.*	$ 37 710
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო" შემოსავლების მეთვალყურეობის პროგრამის შიდა პროექტი	სახელმწიფო შემოსავლების მონიტორინგის საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა *არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის „საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის" საბჭოს ხელშეწყობა.*	$ 5 180
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის საგრანტო პროგრამის საზოგადოებრივი მეთვალყურეობა *ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული საგრანტო პროგრამის საზოგადოებრივი მეთვალყურეობა.*	$ 24 750

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი	პროგრამის „ათასწლეულის გამოწვევა“ საზოგადოებრივი მეთვალყურეობა *პროგრამის „ათასწლეულის გამოწვევა“ (MCG) საზოგადოებრივი მეთვალყურეობის განხორციელება.*	$ 36 894
პროექტის ადმინისტრირების ხარჯი		$ 568
		სულ: $105 102

პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი:		0
დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან	ღია საზოგადოების ინსტიტუტი(OSI):	17 710
	ფონდის სხვა პროგრამები:	76 824
	ღია განკარგვის ფონდი (ODF):	10 568
	მესამე წყარო:	0
სულ პროგრამული აქტივობებისათვის განკუთვნილი თანხა:		105 102
ადმინისტრაციული ბიუჯეტი:		0



მასმედიის მხარდაჭერის პროგრამა

მასმედიის მხარდაჭერის პროგრამის მიზანი იყო ქვეყანაში დამოუკიდებელი მედიისა და მაღალი ხარისხის ჟურნალისტიკის განვითარების ხელშეწყობა. ამასთან, პროგრამის ამოცანაა მხარი დაუჭიროს დემოკრატიული რეფორმების პროცესს, რომელიც შესაძლებელს გახდის ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი მედიისათვის ხანგრძლივმოქმედი ხელშემწყობი გარემო.

2005 წელს პროგრამა მუშაობდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- ❑ რეგიონალური დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერა;
- ❑ ჟურნალისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ❑ ჟურნალისტების ანტიკორუფციული - საგამომძიებლო აქტივობების მხარდაჭერა;
- ❑ ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია.

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებების გარდა, პროგრამა შეეცადა თავისი წვლილი შეეტანა საზოგადოებრივი ტელევიზიისა და მედიასაბჭოს ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში.

2005 წლის 15 ნოემბერს ფონდში განხორციელებული რესტრუქტურიზაციის ფარგლებში მასმედიის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამის ბაზაზე ჩამოყალიბდა ახალი სიუბიექტი, რომელსაც ეწოდა „სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის“ პროგრამა. ახალ პროგრამაში შენარჩუნდა მედიის განვითარების მხარდაჭერის კომპონენტი და მას დაემატა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერის მიმართულება.

პროგრამული აქტივობები

მედიასაბჭო	მედიასაბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა *მედიასაბჭოს ქმედით ორგანიზაციად ჩამოყალიბება*	$ 10 695
კავშირი - "დინამიკური ფსიქოლოგია განვითარებისა და "დემოკრატიისათვის	ჟურნალისტები ადგილობრივი ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და მიზნობრივი ხარჯვისათვის *ადგილობრივი ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და მიზნობრივი ხარჯვის ხელშემწყობი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება*	$ 2 292
ელენე მებაღიშვილი	საშობაო საქველმოქმედო აქცია შარდენის ქუჩაზე *საქველმოქმედო აქციის მოწყობა მზრუნველობა მოკლებული ბავშვების დასახმარებლად*	$ 516
შპს „გაზეთი ბათუმელები“	ახალი ნაბიჯი განვითარებისათვის *"გაზეთ ბათუმელებისათვის" ოფისის შეძენა*	$ 60 000
კუხალაშვილი ეკა	ტელეკრიტიკის ჟანრში საუკეთესო ნამუშევრები *ტელეკრიტიკის ჟანრში საუკეთესო საგაზეთო პუბლიკაციების გამოვლენა. (პროექტი დაჯილდოვდა მესამე პრიზით კონკურსში **პრესის ჟურნალისტებისათვის, სატელევიზიო კრიტიკის ჟანრში საუკეთესო პუბლიკაციათა სერიის** გამოსავლენად).*	$ 2 000
ლამარა შაყულაშვილი	მსურს ვიყო პროფესიონალი *„ხალხის გაზეთი“ - ის ჟურნალისტის სტაჟირება გაზეთის "24 საათი" რედაქციაში.*	$ 750

ლაშა ბუღაძე	ტელეკრიტიკა *ტელეკრიტიკის ჟანრში საუკეთესო საგაზეთო პუბლიკაციების გამოვლენა. (პროექტი დაჯილდოვდა მეორე პრიზით კონკურსში **პრესის ჟურნალისტებისათვის, სატელევიზიო კრიტიკის ჟანრში** საუკეთესო პუბლიკაციათა სერიის გამოსავლენად).*	$ 2 500
ნინო დალაქიშვილი	ჟურნალისტური გამოძიება *ჟურნალისტური გამოძიების სფეროში შესრულებული საუკეთესო საგაზეთო სტატიების გამოვლენა (პროექტი დაჯილდოვდა პირველი პრიზით).*	$ 1 000
მაია მეცხვარიშვილი	ჟურნალისტური გამოძიება *ჟურნალისტური გამოძიების სფეროში შესრულებული საუკეთესო საგაზეთო სტატიების გამოვლენა (პროექტი დაჯილდოვდა მესამე პრიზით).*	$ 250
ლელა დუმბაძე	ჟურნალისტური გამოძიება *ჟურნალისტური გამოძიების სფეროში შესრულებული საუკეთესო საგაზეთო სტატიების გამოვლენა (პროექტი დაჯილდოვდა მესამე პრიზით).*	$ 250
თედო ჯორბენაძე	ჟურნალისტური გამოძიება *ჟურნალისტური გამოძიების სფეროში შესრულებული საუკეთესო საგაზეთო სტატიების გამოვლენა (პროექტი დაჯილდოვდა მეორე პრიზით).*	$ 700
საერთაშორისო ორგანიზაცია „წყაროსთვალი“	ენების სწავლა პროფესიული დაოსტატებისათვის *ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი მედია ორგანიზაციების წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება; ჟურნალისტთა არაქართულენოვან ჯგუფებში ენობრივი კომუნიკაციის პრობლემის მოხსნა.*	$ 119 88.00
ცაულინა მალაზონია	რეგიონში მომუშავე ჟურნალისტების ერთთვიანი სტაჟირება დედაქალაქის მედიაში *გაზეთის "სამხრეთი კარიბჭე" ჟურნალისტის სტაჟირება გაზეთის "24 საათი" რედაქციაში.*	$ 750
ირმა ჯოყილაძე	რეგიონში მომუშავე ჟურნალისტების ერთთვიანი სტაჟირება დედაქალაქის მედიაში *აჭარის ტელე-რადიო დეპარტამენტის ჟურნალისტის სტაჟირება სამაუწყებლო კომპანიაში "რუსთავი 2".*	$ 1 000
შოთა გურაბანიძე	რეგიონში მომუშავე ჟურნალისტების ერთთვიანი სტაჟირება დედაქალაქის მედიაში *აჭარის სახელმწიფო რადიოკომპანიის "აჭარის რადიო" მუსიკალური პროგრამების წამყვანის სტაჟირება რადიოკომპანიის "რადიო თავისუფლება" თბილისის ბიუროში.*	$ 750

ნათელა კირცხალია	რეგიონში მომუშავე ჟურნალისტების ერთთვიანი სტაჟირება დედაქალაქის მედიაში *აჭარის ტელე-რადიო დეპარტამენტის ჟურნალისტის სტაჟირება სამაუწყებლო კომპანიაში "რუსთავი 2".*	$ 1 000
თამარ მამეიშვილი	რეგიონში მომუშავე ჟურნალისტების ერთთვიანი სტაჟირება დედაქალაქის მედიაში *"გაზეთ ბათუმელები" ჟურნალისტის სტაჟირება გაზეთის "24 საათი" რედაქციაში.*	$ 750
ნატო ცისკარაშვილი	რეგიონში მომუშავე ჟურნალისტების ერთთვიანი სტაჟირება დედაქალაქის მედიაში *გაზეთის "კახეთის ხმა" ჟურნალისტის სტაჟირება გაზეთის "კვირის პალიტრა" რედაქციაში.*	$ 750
გელა მთივლიშვილი	კიდევ ერთი პროფესიონალი ჟურნალისტი კახეთში *კახეთის რეგიონალური გაზეთის "იმედი" რედაქტორის სტაჟირება გაზეთის "რეზონანსი" რედაქციაში*	$ 750
მაია მოსიაშვილი	რეგიონში მომუშავე ჟურნალისტების ერთთვიანი სტაჟირება დედაქალაქის მედიაში *ჟურნალისტის სტაჟირება ტელეკომპანიაში "რუსთავი - 2".*	$ 1 000
პაატა ცნობილაძე	რეგიონში მომუშავე ჟურნალისტების ერთთვიანი სტაჟირება დედაქალაქის მედიაში *გაზეთ "**P.S**" კორესპოდენტის სტაჟირება გაზეთის "24 საათი" რედაქციაში*	$ 750
ნინო ჯანელიძე	რეგიონში მომუშავე ჟურნალისტების ერთთვიანი სტაჟირება დედაქალაქის მედიაში *გაზეთის „**P.S.**" კორესპოდენტის სტაჟირება გაზეთის "ახალი ვერსია" რედაქციაში.*	$ 750
კოკა კვირკველია	რეგიონში მომუშავე ჟურნალისტების ერთთვიანი სტაჟირება დედაქალაქის მედიაში *ტელე-რადიო კომპანიის "ოდიში" ჟურნალისტის სტაჟირება რადიოში "ფორტუნა".*	$ 750
კავშირი - „თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა"	ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის რიჩარდ პაიპსის სტუმრობა თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლაში *სინქრონული თარგმნის მომსახურება ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის რიჩარდ პაიპსის სტუმრობისას თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლაში.*	$ 830
ელისო ჩაფიძე	ეკრანი და საზოგადოება *მედიუმის როლის შეასრულება სამოქალაქო საზოგადოებასა და ტელეჟურნალისტებს შორის.*	$ 1 920

ნესტან ცეცხლაძე	რეგიონული მედიის მონიტორინგი *აჭარის მედიაბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.*	$ 2 501
ნინო კაკაბაძე	ტელეკრიტიკა *ქართული ტელევიზიების, ტელეჟურნალისტების და მათი რეპორტაჟების კრიტიკა, როგორც მათი განვითარების მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი.*	$ 2 500
ქეთევან სადღობელაშვილი	TV - მეხუთე დრო (ტელეკრიტიკა) *ქართული ტელესივრცის, კონკრეტული ტელეკომპანიების სამაუწყებლო პოლიტიკის, პროგრამირების, გადაცემების, წამყვანებისა და რეპორტიორების პროფესიონალიზმის ყოველკვირეული მიმოხილვა.*	$ 3 000
შახიდა ტულაგანოვა	პირველი არხის ახალი ამბების მომზადების შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება *BBC - ის კორესპონდენტის, შახიდა ტულაგანოვას მიერ, საზოგადოებრივი მაუწყებლობის ახალი ამბების მომზადების შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება.*	$ 2 400
კავშირი „სტუდია რეპორტიორი"	ცენზურის წინააღმდეგ *ჟურნალისტური გამოძიების ჟანრის დოკუმენტური ფილმების მომზადება.*	$ 14 400
საინიციატივო ჯგუფი/ სოციალური კვლევების ინსტიტუტი	საზოგადოებრივი აზრის კვლევა - მოსახლეობის მოლოდინები საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამირებასთან დაკავშირებით *საზოგადოებრივი აზრის შესწავლა საქართველოში არსებული ტელე-მედია ბაზრის შესახებ; საზოგადოებრივი ტელევიზიის ნიშის დადგენა*	$ 25 900
ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო"	სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა სამოქალაქო სექტორის განვითარების ხელშეწყობა *ინსტიტუციონალურ-ორგანიზაციული განვითარება (პროექტი მოიცავს როგორც საგრანტო, ასევე საგანმანათლებლო კომპონენტს)*	$ 73 918
ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი	სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესისა და შედეგების მონიტორინგი *მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის მონიტორინგი; ჟურნალისტური გამოძიების წარმოება*	$ 19 090
ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" მასმედიის მხარდაჭერის პროგრამა	ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" კვარტალური ბიულეტენი *ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" კვარტალური ბიულეტენის გამოცემა*	$7 390
ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" მასმედიის მხარდაჭერის პროგრამა	თარგმანები *ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" იუბილესთან დაკავშირებული თარგმანების შესრულება (პროგრამის საქმიანობა)*	$ 411

ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" მასმედიის მხარდაჭერის პროგრამა	მედიის ქსელური პროგრამის ყოველწლიური კონფერენცია *პროგრამის კოორდინატორისა და ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის მივლინება ღია საზოგადოების ინსტიტუტის მედიის ქსელური პროგრამის ყოველწლიურ კონფერენციაზე*	$ 3 149
ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" მასმედიის მხარდაჭერის პროგრამა	კონფერენცია ქ. ბრიუსელში *ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" აღმასრულებელი დირექტორის და აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის მივლინება ქ. ბრიუსელში (პროგრამის საქმიანობა)*	$ 1 747
ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" მასმედიის მხარდაჭერის პროგრამა	მხარდაჭერილი პროექტების შემუშავების, შერჩევის და მონიტორინგის ხარჯები	$ 5 558
		სულ: $ 266 655

2005 წელს დამატებით მიმდინარეობდა პროგრამის 2004 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსებული და ჯერ დაუსრულებელი შემდეგი პროექტების ადმინისტრირება: 1. მედიასაბჭოს შექმნის ხელშეწყობა (მედიასაბჭოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ჟურნალისტების უფლებების დაცვა); 2. მედია ინოვაციების პროგრამის (IREX) ფინანსური მხარდაჭერით თარგმნილი სახელმძღვანელოს „ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში" და ორი ბროშურის (მედიამენეჯმენის თემაზე) საგამომ-ცემლო ხარჯების ანაზღაურება.

პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი:		152 000
დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან	ღია საზოგადოების ინსტიტუტი(OSI):	60 000
	ფონდის სხვა პროგრამები:	42 000
	ღია განკარგვის ფონდი (ODF):	12 655
	მესამე წყარო:	0
სულ პროგრამული აქტივობებისათვის განკუთვნილი თანხა:		266 655
ადმინისტრაციული ბიუჯეტი:		17 000



ინტეგრაციის პროგრამა

ინტეგრაციის პროგრამის მიზანი იყო კონფლიქტების დარეგულირების სამშვიდობო ინიციატივების, მხარეთა დიალოგის, ეთნიკური უმცირესობების ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანამონაწილეობის, ეთნიკურ რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების (ა.ო-ები, ჟურნალისტური ორგანიზაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები) განვითარების, რეგიონული თანამშრომლობის ინიციატივების, ევროპულ ინტეგრაციაში სამოქალაქო მონაწილეობის ინიციატივების ხელშეწყობა.

2005 წელს პროგრამა მუშაობდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- ☐ კონფლიქტი აფხაზეთში;
- ☐ კონფლიქტი ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში;
- ☐ ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში;
- ☐ რეგიონული ინტეგრაცია;
- ☐ ევროპული ინტეგრაცია.

2005 წლის ნოემბრიდან პროგრამა იწოდება როგორც „ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების (ისგ) პროგრამა".

პროგრამული აქტივობები

სოროსის ფონდის ქ. სოხუმის ფილიალი	სოროსის ფონდის ქ. სოხუმის ოფისის საქმიანობის მხარდაჭერა *აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და ქართულ-აფხაზური სამშვიდობო დიალოგის ხელშეწყობა.*	**$ 43 138**
საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრი	შიდა ქართლის კონფლიქტური ზონის 10 სკოლაში "ნაბიჯ-ნაბიჯ" საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა და 2 სამოდელო ცენტრის დაარსება *შიდა ქართლის კონფლიქტური ზონის 10 სკოლაში "ნაბიჯ-ნაბიჯ" საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა და 2 სამოდელო ცენტრის დაარსება.*	$ 8 256
სოროსის ფონდის ქ. სოხუმის ფილიალი	სფსო-ის მიერ 2004 წელს მხარდაჭერილი 15 პროექტი *სფსო-ის მიერ 2004 წელს მხარდაჭერილი პროექტების საგრანტო დავალიანების დაფარვა აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერის მიზნით.*	**$ 27 928**
შიდასაპროგრამო პროექტი	ქართული საზოგადოების ღირებულებათა კვლევა *ქართული საზოგადოების ღირებულებათა სტრუქტურების დადგენა და მათი შედარება ევროპულ ღირებულებათა იერარქიასთან.*	$ 34 980
სამოქალაქო სამშვიდობო ინიციატივა	ქ. როსტოვში (რუსეთის ფედერაცია) ქართულ -აფხაზური შეხვედრის ორგანიზება *ქართულ-აფხაზური შეხვედრა ერთობლივი ეკონომიკური პროექტების შემუშავების მიზნით.*	$ 3 500
ნაირა ბეპიევა	ოსური ფოლკლორი ქართულ და ოსურ ენებზე *ოსური ფოლკლორის ნიმუშების (პოეტური და პროზაული) მოძიება, შეგროვება, თარგმანი და გამოცემა; ოსური ფოლკლორის ნიმუშების (პოეტური და პროზაული) გავრცელება ქ. ცხინვალსა და ქ. თბილისში.*	$ 5 982

ასოციაცია „საბავშვო ცენტრი - მტრედები“	ქართულ-აფხაზური, ქართულ-აზერბაიჯანული და ქართულ-სომხური ურთიერთობების ხელშეწყობა: გზა კონფლიქტის გადაწყვეტისაკენ *საბავშვო გაზეთის „12 მტრედი“ ქართულ-აფხაზურ ენებზე გამოცემა და გავრცელება აფხაზეთში.*	$ 16 968
თემის მობილიზაციისა და სოციალური განვითარების სააგენტო (ACOMSD)	სამოქალაქო საზოგადოების კლუბის შექმნა სამხრეთ ოსეთში *ქ. ცხინვალში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე და, ამდენად, კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებაზე ორიენტირებული სამოქალაქო საზოგადოების კლუბის ფუნქციონირება; საჯარო დისკუსიების მოწყობა; საინფორმაციო ბიულეტენის გამოშვება.*	$ 35 470
ცხინვალის რეგიონის მასწავლებელთა და მშობელთა ასოციაცია	თანამედროვე საინფორმაციო და საგანმანათლებლო ტექნოლოგიები კონფლიქტის მოგვარების სამსახურში *კომპიუტერული კლუბის შექმნა ქ. ცხინვალიდან დევნილი ბავშვებისათვის. ერთობლივი ახალგაზრდული ინტერნეტ-გვერდის დაპროექტება და რეალიზაცია.*	$ 10 000
ზაზა ჯღარკავა	მესხები *დოკუმენტური ფილმი მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის შესახებ.*	$ 14 232
საქართველოს ოსთა ასოციაცია „ფიდატი“	კომპიუტერის შეძენა საქართველოს ოსთა ასოციაციისათვის „ფიდატი“ *კომპიუტერის შეძენა საქართველოს ოსთა ასოციაციისათვის „ფიდატი“.*	$ 390
ზაირა მარანელი	ცხინვალის და საქართველოს კულტურულ-საინფორმაციო ცენტრი *წინა წელს დაფინანსებულ პროექტზე საპრეზენტაციო თანხის დამატება.*	$ 300
შიდასაპროგრამო პროექტი	არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა ევროკავშირის შეხვედრებში *ქ. ბრიუსელის შეხვედრებში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა მათი ევროპის სამეზობლო პოლიტიკისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართვისათვის.*	$ 4 296
გია ფარულავა	ქართულენოვანი სწავლების განმტკიცება გალის რაიონის ქართულ სკოლებში *გალის რაიონის ქართული და აფხაზური სკოლებისათვის სასწავლო სახელმძღვანელოებით და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა.*	$ 8 650
მერაბ ბაბუხადია	ქართული ენის თვითმასწავლებელი საქართველოს სომხურენოვანი მოსახლეობისათვის *საქართველოს სომხურენოვანი მოსახლეობისათვის ქართული ენის თვითმასწავლებლის შექმნა და დაბეჭდვა.*	$ 4 969
კავშირი-ასოციაცია „ექს-კომბატანტთა კლუბი“	ყოფილი მეომრები მშვიდობისათვის *ორგანიზაციული მხარდაჭერა; ოფისის იჯარის დაფინანსება.*	$ 2 014

შიდასაპროგრამო პროექტი	სომხურენოვანთათვის ქართული ენის თვითმასწავლებლის რეცენზია *ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" მიერ დაფინანსებული პროექტის "ქართული ენის თვითმასწავლებელი საქართველოს სომხურენოვანი მოსახლეობისათვის" ფარგლებში შედგენილი თვითმასწავლებლის ტექსტის რეცენზიის მომზადება.*	$ 554
კავშირი „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები"	შერიგების სახლი *ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების შეხვედრების ორგანიზება და მათი როლის გაზრდა კონფლიქტის დარეგულირების საქმეში.*	$ 11 360
კავშირი „საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი"	გაზეთის გამოცემა რუსულ ენაზე *რუსულენოვანი გაზეთის „კავკაზსკი აქცენტი" წლიური გამოცემის წილობრივი (50%) მხარდაჭერა.*	$ 5 900
ასოციაცია „ორდუ"	გალის რაიონში ინტერნეტ რესურს ცენტრის განვითარება *გალის და ზუგდიდის ინტერნეტ ცენტრების ჩართვა ინტერნეტში (128 კბ-ით).*	$ 4 080
შიდასაპროგრამო პროექტი	აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორის მივლინება ნიუ-იორკსა და ბრიუსელში *აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორის მივლინება ნიუ-იორკსა და ბრიუსელში.*	$ 5 131
დამოუკიდებელი მედიის განვითარების კავშირი	გასულ წელს დაფინანსებული პროექტისათვის "კოსტა ხეტაგურის ძეგლის აღდგენა" თანხის დამატება *პროექტის (ძეგლის აღდგენა) სრულყოფილად განხორციელება და გახსნის ცერემონიის ორგანიზება სოფელ არეშფერანში (კახეთი).*	$ 2 968
სამცხე-ჯავახეთის მომხმარებელთა კავშირი	ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია *სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ბავშვების, ასევე მათი მშობლების დაახლოების ხელშეწყობა ახალციხესა და ნინოწმინდაში; საკვირაო კულტურული კლასების ჩამოყალიბება და მათ შორის მოსწავლეთა და მასწავლებელთა გაცვლითი ვიზიტები.*	$ 3 130
შიდასაპროგრამო პროექტი	რობერტ პატნემის წიგნის პრეზენტაცია *ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" მხარდაჭერით ნათარგმნი რობერტ პატნემის წიგნის პრეზენტაციის მოწყობა.*	$ 767
ქვის მოყვარულთა კავშირი	ექსპედიცია საქართველოში იშვიათი ქვების მოპოვების მიზნით *აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილე ქვის მოყვარულთა კავშირის წევრთა ექსპედიციის ერთჯერადი მხარდაჭერა.*	$ 115
შიდასაპროგრამო პროექტი	ინტეგრაციის პროგრამის კონსულტანტი *ინტეგრაციის პროგრამის კონსულტანტის საჰონორარო და სამივლინებო ხარჯები.*	$ 3 528
ფონდი „აფხაზეთის მომავალი"	სამშვიდობო ინიციატივა *ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების შეხვედრები ქ. თბილისში.*	$ 9 377

აფხაზეთში ჰუმანიტარული და სოციალური პროგრამის განვითარების საერთაშორისო ფონდი	ქართველი ექიმები აფხაზეთისათვის *გულრიფშის რაიონის ცენტრალურ საავადმყოფოში ქირურგიული ოპერაციების ჩატარება ქართველი ექიმების მიერ.*	$ 10 000
კავშირი „ბართ-ერთობა“	ჩეჩენი ბავშვების ექსკურსია ქ. თბილისში *სოფელ ჯოყოლაში მცხოვრები ჩეჩნეთიდან ლტოლვილი ბავშვებისათვის ექსკურსიის მოწყობა ქ. თბილისში.*	$ 958
შიდასაპროგრამო პროექტი	ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმის (AP) შემუშავებაში და განხორციელების მონიტორიგში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა *საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (**ENP**) სამოქმედო გეგმის (**AP**) შემუშავებაში და განხორციელების მონიტორიგში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის ხელშეწყობა.*	$ 10 550
შიდასაპროგრამო პროექტი	სამხრეთ კავკასიის სამშვიდობო ფესტივალი *კონფლიქტების არაძალადობრივი გზით გადაწყვეტის იდეის აქტიური პოპულარიზაცია (მოსამზადებელი სამუშაოების პერიოდი).*	$ 16 400
მხარდაჭერილი პროექტების	შერჩევის, მონიტორინგისა და სხვა საოპერაციო ხარჯი	$ 8 200
		სულ: $314 091

2005 წელს დამატებით მიმდინარეობდა წინა წლების ბიუჯეტებიდან დაფინანსებული და ჯერ დაუსრულებელი შემდეგი პროექტების ადმინისტრირება: 1. კოსტა ხეთაგუროვის ძეგლის აღდგენა სოფ. არეშფერანში (კახეთი); 2. ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ (შიდა პროექტი).

პროგრამული აქტივობების დასაფინანსებელი თანხიდან 2005 წელს არ გაიხარჯა აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშესაწყობად გამიზნული თანხის ნაწილი - $56 763 სოროსის ფონდის სოხუმის ფილიალისათვის, რომელიც დარეზერვდა 2006 წლისათვის იმავე დანიშნულებით.

პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი:		300 000
დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან	ღია საზოგადოების ინსტიტუტი(OSI):	0
	ფონდის სხვა პროგრამები:	16 020
	ღია განკარგვის ფონდი (ODF):	54 834
	მესამე წყარო:	0
2006 წლისათვის დარეზერვებული თანხა:		56 763
სულ პროგრამული აქტივობებისათვის განკუთვნილი თანხა:		314 091
ადმინისტრაციული ბიუჯეტი:		18 000



- პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი
- 2006 წლისათვის დარეზერვებული თანხა
- ღია განკარგვის ფონდიდან დამატებული თანხა (ODF)
- ფონდის სხვა პროგრამებიდან დამატებული თანხა
- ადმინისტრაციული ბიუჯეტი

ეკონომიკური განვითარების პროგრამა

ეკონომიკური განვითარების პროგრამის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და კონფლიქტურ რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური პროექტების მხარდაჭერა; უმუშევრობის დონის შესამცირებლად მიმართულ საქმიანობაში ყველა შესაძლო თანამედროვე ეკონომიკური მეთოდისა და მექანიზმის გამოყენებით აქტიური მონაწილეობის მიღება; ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობის მიღება და სექტორისათვის პრიორიტეტული პროექტების გამოვლენა-განხორციელება.

2005 წელს პროგრამა მუშაობდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- ☐ ბიზნეს ცენტრების შექმნისა და საკრედიტო პროგრამების განხორციელების მეშვეობით საქართველოს რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;
- ☐ ყოფილი საჯარო მოხელეების თვითდასაქმების ხელშესაწყობად სპეციალური პროგრამის შექმნა.

*პროგრამული აქტივობები		
ინფრასტრუქტურის და ბიზნესის განვითარების ფონდი „ტაო“	მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში *სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მომზადებული ბიზნეს-გეგმების დაფინანსება მცირე კრედიტების საშუალებით.*	$ 80 000
** ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ეკონომიკური განვითარების პროგრამის შიდა პროექტი	აფხაზეთში მიკროფინანსირების და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა *ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრის შექმნა გალის რაიონში; აფხაზეთის ტერიტორიაზე მიკროსაფინანსო პროექტის განხორციელება.*	$ 32 404
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ საჯარო ადმინისტრირების და ადგილობრივი თვითმმართველობის და ეკ. განვითარების პროგრამების ერთობლივი შიდა პროექტი	უმუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების ხელშემწყობი პროგრამა *რეფორმების შედეგად საჯარო სამსახურიდან დათხოვნილი ყოფილი მოხელეების შერჩევა-გადამზადება; მცირე ბიზნესის წამოწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნისათვის ბიზნეს-გეგმებისა და პროექტების შემუშავებაში დახმარება.*	$ 150 000
საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაცია	კონფერენციის მოწყობა თემაზე "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონპროექტის განხილვა“ *კონფერენციის მოწყობა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონპროექტის განხილვის მიზნით.*	$ 2 982
საქართველოს ეკონომიკური განათლების ასოციაცია	სკოლის ეკონომიკის მასწავლებელთა მომზადება ქ. თბილისისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში *ქ. თბილისისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონის ეკონომიკის მასწავლებელთა მომზადება სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით და ამ გზით ეკონომიკური განათლების დონის ამაღლება.*	$ 6 314
		სულ: $271 700

* 2005 წელს ეკონომიკური განვითარების პროგრამის ბიუჯეტის ნაწილი გამოიყო ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ფარგლებში ახალი პროგრამის - “შემოსავლების მეთვალყურეობის პროგრამა“ შექმნისა და განვითარებისათვის .

** აღნიშნული პროექტის ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი (210 000$) გადმოტანილ იქნა ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების ქსელური პროგრამის მიერ 2004 წელს გამოყოფილი თანხიდან.

პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი:		219 500
დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან	ღია საზოგადოების ინსტიტუტი(OSI):	100 000
	ფონდის სხვა პროგრამები:	0
	ღია განკარგვის ფონდი (ODF):	6 314
	მესამე წყარო:	0
ფონდის სხვა პროგრამებისთვის გადაცემული თანხა:		54 114
სულ პროგრამული აქტივობებისათვის განკუთვნილი თანხა:		271 700
ადმინისტრაციული ბიუჯეტი:		21 000



- პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი
- ღია საზოგადოების ინსტიტუტიდან დამატებული თანხა (OSI)
- ღია განკარგვის ფონდიდან დამატებული თანხა (ODF)
- ფონდის სხვა პროგრამებიდან დამატებული თანხა
- ადმინისტრაციული ბიუჯეტი

ქალთა პროგრამა

ქალთა პროგრამის მიზანია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება; ქალთა ინიციატივების მხარდაჭერა ძალადობასთან ბრძოლის, სამართლიანობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხში; ქალთა მოძრაობის გავრცელება დედაქალაქიდან სოფლების მიმართულებით; ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების ჩართვა საზოგადოებრივ პროცესებში; ქალთა უფლებებისა და სამართლიანობის დამკვიდრება; გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული, გენდერული ძალადობის აღმკვეთი სახელმწიფო პოლიტიკის გამომუშავების ხელშეწყობა; ქალთა/გენდერული კვლევების ხელშეწყობა. აგრეთვე ქალთა პრობლემების შესახებ საზოგადოებრივი ცოდნის გაზრდა შემდეგი საქმიანობით: გაზეთისა და რეგიონალური მნიშვნელობის მქონე ჟურნალის გამოცემა და დოკუმენტური ფილმების გადაღება; განგრძობითი, შედეგზე ორიენტირებული მუშაობა წარმატებული პროექტების მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად; ქალთა პროგრამის ერთობის შემდგომი განვითარება და გაძლიერება; მიზნობრივი ცენტრების, ქსელებისა და ასოციაციების შესაძლებლობათა გამოყენება ქალთა მოძრაობის გასავრცელებლად და გასაძლიერებლად.

2005 წელს პროგრამა მუშაობდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- ❑ ძალადობა ქალის მიმართ (ოჯახური ძალადობა, ტრეფიკინგი);
- ❑ მედია ინიციატივების მხარდაჭერა (დოკუმენტური ფილმები/ პერიოდული პუბლიკაციები);
- ❑ გენდერი და განათლება (გენდერული კვლევები/ ქალთა ზეპირი ისტორიები/ განათლება უფლებამოსილებისათვის„);
- ❑ რეპროდუქციული ჯანმრთელობა.

პროგრამული აქტივობები

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი	ოჯახური ძალადობის დასაძლევად (გაგრძელება) *კრიზისული ცენტრისა და მსხვერპლთა თავშესაფრის მუშაობის გაგრძელება; ძალადობისგან დაცვის რეგიონალური კომიტეტების მხარდაჭერა და ქსელური მუშაობის გაძლიერება; საპატრულო პოლიციასთან საგანმანათლებლო მუშაობა (ტრენინგების ციკლი: ოჯახური ძალადობა, ალკოჰოლური და სხვა დამოკიდებულებების ზიანის შემცირება); საინფორმაციო-საგანმანათლებლო გაზეთის გამოშვება.*	$ 27 488
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ქალთა პროგრამის შიდა პროექტი	ქალთა ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ათსერიანი მხატვრული სერიალის საეთერო ჩვენების თანადაფინანსება *დამოუკიდებელი ტელეკომპანიის „რუსთავი 2“ თანადაფინანსება ანტიტრეფიკინგული სერიალის „მატრიოშკები“ ჩვენების ლიცენზიის მოსაპოვებლად.*	$ 1 500
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ქალთა პროგრამის საქმიანობა	სამუშაო შეხვედრები ადამიანთა ტრეფიკინგთან ბრძოლის თემაზე *სამთავრობო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერთა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ადამიანთა ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობისთვის.*	$ 97
ადამიანის ჰარმონიული განვითარების საზოგადოება	არალეგალური მიგრაცია და ტრეფიკინგის პრევენცია: საბერძნეთი *ტრეფიკინგთან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მესამე და მეოთხე პუნქტების შესაბამისი სამუშაოს განხორციელება: საგანგებო ტრენინგები საკონსულო სამსახურებისთვის, არალეგალურ მიგრაციასთან და ტრეფიკინგთან დაკავშირებული სრული ინფორმაციული სურათის შექმნა, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთთანამშრომლობის დამყარება ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამშობლოში დასაბრუნებლად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.*	$ 5 000

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის სამტრედიის რაიონული კომიტეტი	მესხთა ინტეგრაციის ხელშეწყობა სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში *სიტუაციური ანალიზი და მუშაობა რეპატრიანტ მესხთა თემთან შემდეგი მიმართულებებით: ინფორმირება სამოქალაქო უფლებების შესახებ, ახალგაზრდების მობილიზაცია ინტეგრაციის საკითხის გარშემო, ქალთა საკითხი და ქალის ადამიანის უფლებები, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების და ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე, გენდერული ხედვის ჩამოყალიბება სკოლის მოსწავლეებსა და სოფლის მოსახლეობაში.*	$ 2 733
ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ხონის რაიონული კომიტეტი	საზოგადოება ძალადობის გარეშე *კომიტეტის ოფისის აღჭურვა; საინფორმაციო შეხვედრები და კომიტეტის მოხალისე წარმომადგენელთა შერჩევა რაიონის ცხრა სოფელში; სკოლის მოსწავლეებთან მუშაობა და ამ სოფლებში ძალადობის ფაქტების გამოვლენა; შერჩეულ მოხალისეთა გადამზადება; ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის იმერეთის კომიტეტის კრიზისულ ცენტრთან (ქ. ქუთაისი) თანამშრომლობით ძალადობის ფაქტებზე რეაგირება.*	$ 2 816
ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ყვარლის რაიონული კომიტეტი	ძალადობასთან ბრძოლა ყვარლის რაიონში *კომიტეტის ოფისის აღჭურვა და ყვარლის რაიონის 16 სოფელში საკონტაქტო პირების შერჩევა; საინფორმაციო შეხვედრები სოფლებში; ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის კახეთის კომიტეტთან და თავშესაფართან (ქ. თბილისი) თანამშრომლობით ძალადობის ფაქტების გამოვლენა და რეაგირება.*	$ 2 933
ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ლაგოდეხის რაიონული კომიტეტი	მოზარდების დაცვა ძალადობისგან *რაიონული კომიტეტის ოფისის აღჭურვა და რაიონის 21 სოფელში მუშაობის გაშლა; სოფლების საკრებულოების ჩართვა საქმიანობაში, ახალგაზრდობასთან შეხვედრა-სემინარების ჩატარება. სასემინარო თემები: ოჯახური ძალადობა, ბავშვთა უფლებები; მედიასთან თანამშრომლობა საზოგადოების ინფორმირებისთვის.*	$ 3 000
ქალთა პროგრამის შიდა პროექტი	ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება *ამერიკის იურისტთა ასოციაციასთან თანამშრომლობით ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაქმნელად ექსპერტთა მუშაობის მხარდაჭერა; ქალთა პროგრამის მიერ მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ექსპერტების პროცესში ჩართვა; რამდენიმე სამუშაო შეხვედრა ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ოფისში.*	$ 1 600
ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ხაშურის რაიონული კომიტეტი	ანტიკრიზისული ცენტრი ხაშურის რაიონში *ოჯახური ძალადობის, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კრიზისული ცენტრის შექმნა ქ. ხაშურში; სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან, მათ შორის, საპატრულო პოლიციასთან, საგანმანათლებლო მუშაობა; ხაშურის რაიონის 12 სოფელში სემინარების ჩატარება და კრიზისული ცენტრის მუშაობაში სოფლად მცხოვრები ახალგაზრდა აქტივისტების ჩართვა.*	$ 2 985
კონსტანტინე ლაბარტყავა	სამგზავრო გრანტი *პოლონეთში სემინარში მონაწილეობის მისაღებად კონსტანტინე ლაბარტყავას მგზავრობის ხარჯები, აპრილი, 2005 წ.*	$ 751

მშვიდობის კორპუსის მოხალისეთა საინიციატივო ჯგუფი „ლიდერობის ბანაკი გოგონებისთვის“	ლიდერობის ბანაკი გოგონებისთვის *ორცვლიანი ბანაკის თანადაფინანსება: სასწავლო კურსები საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრები 12-დან 15 წლამდე გოგონებისთვის (სულ 80) შვიდი ამერიკელი და შვიდი ქართველი მოხალისის ხელმძღვანელობით (დაბა ბაკურიანში); ქალთა პროგრამის თხოვნით, ადამიანის უფლებების სფეროში ექსპერტ ელისო ამირეჯიბის სემინარი ბანაკის მონაწილეთათვის.*	$ 1 000
ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური კომიტეტი	სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური კრიზისული ცენტრი *ქ. ახალციხეში კრიზისული ცენტრის დაარსება და აღჭურვა; ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა მომსახურება: ცხელი ხაზი, იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები; ძალადობისგან დაცვის რაიონული კომიტეტების გაძლიერება; საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები; თანამშრომლობა მედიასთან.*	$ 4 365
ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ზემო სვანეთის რეგიონალური კომიტეტი	კრიზის-ცენტრი „მეგობარი“ *ქ. მესტიაში კრიზისული ცენტრის დაარსება და მისი აღჭურვა; ქ. მესტიასა და ზემო სვანეთის სამ სოფელში სამუშაო შეხვედრების ორგანიზება; ძალადობის მსხვერპლთა მომსახურება: სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება; საგანმათლებლო მუშაობა ოჯახური ძალადობისგან დაცვის თემაზე (10 სოფელში).*	$ 4 182
ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის გურიის რეგიონალური კომიტეტი	შენ უფლება გაქვს, იცოდე, გამოიყენო და დაეხმარო სხვებს! *ოჯახური ძალადობის თემაზე სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების მიზნით სტუდენტურ ახალგაზრდულ სათათბიროსთან (სულ 15 მონაწილე) თანამშრომლობა შემდგომი საგანმანათლებლო მუშაობისთვის; საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია: ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის ხუთ-ხუთი სკოლის უფროსკლასელთათვის (სულ 15 სკოლაში) სემინარების ჩატარება (სკოლების შერჩევის კრიტერიუმები: თემის სიდიდე, მოსახლეობის ეთნო-კულტურული მრავალფეროვნება); საინფორმაციო ლიფლეტების მომზადება, დაბეჭდვა და გავრცელება, პუბლიკაციები სტუდენტურ ახალგაზრდული სათათბიროს გაზეთთან „ახალგაზრდული გურია“; ძალადობისგან დაცვის ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონული კომიტეტის ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა; ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან თანამშრომლობა.*	$ 4 363
ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური კომიტეტი	ოჯახი ძალადობის გარეშე *ქ. მცხეთაში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად კრიზისული ცენტრის შექმნა: ცხელი ხაზი, იურისტისა და სოციალური მუშაკის მომსახურება; საინფორმაციო ფურცლისა და ბუკლეტების მომზადება და გავრცელება; რეგიონალურ და რაიონულ მედიასთან თანამშრომლობა; სამუშაო-საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება რეგიონის ხუთ რაიონში; შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა; ძალადობის და მასთან ბრძოლის თემაზე მოსახლეობის თვალსაზრისის გამოსაკვეთად სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარება.*	$ 4 358
ქალების ინიციატივა თანასწორობისთვის	კრებულის „გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა“ გამოცემა (თანხის დამატება) *2004 წელს მხარდაჭერილი პროექტის დამატებითი დაფინანსება; წიგნის გამოცემა 2005 წლის გაზაფხულზე.*	$ 350

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური კომიტეტი	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური კრიზისული ცენტრი *ქ. ამბროლაურში ოჯახური კრიზისული ცენტრის შექმნა და აღჭურვა; ცხელი ხაზის ამოქმედება, სამედიცინო, იურიდიული მომსახურება; დროებითი თავშესაფარი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის; ძდექ-ის თბილისის კრიზისულ ცენტრთან და თავშესაფართან თანამშრომლობა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციისთვის; ძალადობის დასაძლევად მიმართულ საქმიანობებში პედაგოგების, პოლიციელების და ეუთოს რეგიონალური ტრენერების ჩართვა.*	$ 4 352
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ქალთა პროგრამის საქმიანობა გენდერული ძალადობის საწინააღმდეგო	16-დღიან კამპანიასთან დაკავშირებული შეხვედრები *გენდერული ძალადობის საწინააღმდეგო 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში საქართველოს ქალთა მოძრაობის ლიდერთა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება (შეხვედრებზე განხილული თემები: ოჯახური ძალადობა, ადამიანთა ტრეფიკინგი საკანონმდებლო ბაზა და სამთავრობო უწყებებთან ურთიერთობა, მსხვერპლთა დაცვის პრაქტიკა, პრობლემები და პერსპექტივები); საგანგებო შეხვედრა შრომის კოდექსის პროექტის შესაფასებლად, რომლის ფართო განხილვა 16-დღიანი კამპანიის დღეებს დაემთხვა.*	$ 194
ნათელა სახოკია	ქალთა მეწარმეობის პრობლემები საქართველოში *საქართველოში ქალთა მეწარმეობის ახლანდელი მდგომარეობის გამოკვლევა; ქალთა დამოუკიდებელი ეკონომიკური მოღვაწეობის სირთულეების, ხელისშემშლელი ფაქტორების, განვითარების მიმართულებებისა და პერსპექტივების გამოვლენა; ქალთა მეწარმეობის ხელშესაწყობად არსებული სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით რეკომენდაციების პაკეტის შემუშავება.*	$ 2 900
მანანა ჯავახიშვილი	მატრიმონიალური სტრატეგიების გენდერული ანალიზი *კვლევა: რელიგიისა და რელიგიური ინსტიტუტების როლი სოციალური სივრცის ჩამოყალიბებაში; მატრიმონიალური სტრატეგიები მრავალეთნიკური საქართველოს სხვადასხვა რელიგიურ ტრადიციებში, როგორც ისტორიულ კონტექსტში, ასევე თანამედროვე პრაქტიკებში.*	$ 2 980
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ქალთა პროგრამის საქმიანობა	მონაწილეობა გენდერული კვლევების ქ. სტამბულის საზამთრო სკოლაში და მოსამზადებელი სამუშაოები *ქალთა პროგრამის კოორდინატორის მონაწილეობა გენდერული კვლევების ზამთრის სკოლაში (ქ. სტამბული); საქართველოდან, დამატებით, სამი მკვლევარის მონაწილეობის და მათი სამგზავრო გრანტების (2004 წლის ბოლოს) დაფინანსება. შენიშვნა: „ზამთრის სკოლა“ ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქალთა ქსელური პროგრამის მრავალწლიანი საერთაშორისო პროექტის ნაწილია, რომელშიც პოსტსაბჭოთა სივრცის ქალთა პროგრამები და ქსელური პროგრამის ინსტიტუციონალური პარტნიორები მონაწილეობენ.*	$ 1 235
თსუ მესხეთის ფილიალის გენდერისა და ქალთა უფლებების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის საინიციატივო ჯგუფი	გენდერული კვლევების საზაფხულო სკოლა სტუდენტებისთვის (დაბა აბასთუმანი - 2005 წ.) *სტუდენტებისთვის გენდერულ/ქალთა კვლევებში პირველი საზაფხულო სკოლის ჩატარება; საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან მონაწილე სტუდენტების შერჩევა კონკურსის საფუძველზე; გენდერული საკითხებით დაინტერესებულ სტუდენტთა ერთობის ჩამოყალიბება.*	$ 6 400

თამარ ბალავაძე	გენდერული განათლების რესურსების ეროვნული კატალოგის შექმნა და ანგარიში გენდერული კვლევების მდგომარეობის შესახებ საქართველოში *გენდერული განათლების რესურსების ეროვნული კატალოგის შექმნა (თამარ ბალავაძისა და მაია გოქსაძის ავტორობით) და საქართველოში გენდერული კვლევების მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ლელა გაფრინდაშვილისა და თამარ ონოფრიენკოს ავტორობით). შენიშვნა: ეროვნული კატალოგებისა და ანგარიშების შექმნა ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქალთა ქსელური პროგრამის მრავალწლიანი ქსელური პროექტის „გენდერული კვლევების განვითარება"-ის ნაწილია, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში ხორციელდება.*	$ 2 756
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო" ქალთა პროგრამის შიდა პროექტი	პაულო ფრეიერი, „ჩაგრულთა პედაგოგიკა", ქართული გამოცემა (საავტორო უფლებების გადასახადი, გამოცემა, გავრცელება) *დიდი ბრაზილიელი მოაზროვნისა და ჰუმანისტის, პაულო ფრეიერის ყველაზე ცნობილი ნაშრომის „ჩაგრულთა პედაგოგიკა" ქართულ ენაზე თარგმნა პოსტ-საბჭოთა სივრცეში პირველად (მთარგმნელი ნოდარ მანჩხაშვილი); ფრეიერის მემკვიდრეებთან ხელშეკრულების გაფორმება საავტორო უფლებების შესახებ, წიგნის დაბეჭდვა და უსასყიდლოდ გავრცელება მთელი საქართველოს მასშტაბით - ბიბლიოთეკებში, სარესურსო ცენტრებსა და სოციალურ მეცნიერებებზე ორიენტირებულ მკვლევართა შორის.*	$ 2 331
ფონდის „ღია საზოგადოება -საქართველო" ქალთა პროგრამის შიდა პროექტი	ქალთა კვლევების მეთოდოლოგიური სემინარი *საქართველოში ქალთა კვლევების განვითარების ხელშესაწყობად სემინარის ორგანიზება; ჰოლანდიელი პროფესორის სელმა ლეიდესდორფის (ქალთა კვლევების ეროვნული კვლევითი სკოლის ხელმძღვანელი) ლექციები ქალთა ზეპირი ისტორიების მეთოდოლოგიის თემაზე ქართველ მკვლევართა და სტუდენტთათვის; გენდერის ექსპერტის და ქალთა პროგრამის საექსპერტო კომისიის წევრის, თამარ საბედაშვილის მიერ ლექციების თარგმნა ქართულად ვოლუნტარულ საწყისებზე.*	$ 698
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო" ქალთა პროგრამის შიდა პროექტი	მეხსიერების კვლევის ცენტრი *ქალთა პროგრამის მრავალწლიანი საქმიანობა; მეხუთე წიგნის გამოცემა სერიიდან „ქალთა მეხსიერება"; მკვლევართა მომსახურების გაგრძელება; ბიბლიოთეკის გამდიდრება; ახალი ინტერვიუების შეგროვება/ჩაწერა; მეხსიერების კვლევის ცენტრის აუდიო, ვიდეო და ფოტო არქივების შევსება; პროექტის საპრეზენტაციოდ მეხსიერების კვლევის ცენტრის გამოფენის მოწყობა.*	$ 9 164
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო" ქალთა პროგრამის საქმიანობა	ორგანიზაციის „ასოციაცია ქალთა უფლებებისთვის განვითარების პროცესში" ფორუმში და ქალთა ქსელური პროგრამის ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობა *პროგრამის კოორდინატორისა და გალინა პეტრიაშვილის (თანადაფინანსებით ქალთა პროგრამიდან) მონაწილეობა მეათე გლობალურ ქალთა ფორუმში* AWID *(„ასოციაცია ქალთა უფლებებისთვის განვითარების პროცესში"), იხ:* www.awid.org, *პუბლიკაცია საქართველოში: ჟურნალი „ქალთა დიალოგი", №2; პროგრამის კოორდინატორის მონაწილეობა ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქალთა ქსელური პროგრამის ყოველწლიურ შეხვედრაში. განხილვების ძირითადი საგანი: ახალი ორგანიზაცია „გენდერული პოლიტიკის საერთაშორისო ქსელი* (www.igpn.net).	$ 2 086

ეკატერინე ფირცხალავა	გენდერული განათლება რეპატრიანტ მესხებს *რეპატრიანტი მესხების თემებთან ოზურგეთის რაიონის სოფ. ნასაკირალში და სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთში საგანმანათლებლო მუშაობა. საგანმანათლებლო პროგრამის „განათლება უფლებამოსილებისთვის“ ტრენინგები სკოლის მოსწავლეებისთვის ორივე სოფელში და სოფ. ნასაკირალის სკოლაში ამ პროგრამის ცენტრის შექმნა და აღჭურვა; მასწავლებელთა გადამზადება პროგრამის ტრენერებად; მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევა და კონსულტირება.*	$ 4 970
მადონა ჯაბუა	თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა *ზუგდიდის რაიონის ოთხ და სამეგრელოს რეგიონის სხვადასხვა ქალაქების ოთხ სკოლაში პროგრამის „განათლება უფლებამოსილებისთვის“ ტრენინგები; ცენტრის შექმნა და აღჭურვა; ზუგდიდის რაიონის სკოლების მასწავლებელთა გადამზადება პროგრამის ტრენერებად.*	$ 4 000
ნელი ზაქაიძე	უფლებამოსილებითი განათლება მცხეთის რაიონის სკოლებისთვის *ქ. მცხეთის №1 საშ. სკოლაში პროგრამის „განათლება უფლებამოსილებისთვის“ ცენტრის შექმნა და აღჭურვა; სკოლების დირექტორების მოადგილეებისთვის ადმზრდელობით დარგში და პედაგოგებისთვის საჩვენებელი ტრენინგები; მცხეთის რაიონის სკოლების მასწავლებელთა გადამზადება პროგრამის ტრენერებად; პროგრამის „განათლება უფლებამოსილებისთვის“ დანერგვა მცხეთის რაიონის თვრამეტ სკოლაში.*	$ 4 000
საინიციატივო ჯგუფი	უფლებამოსილებითი განათლება 2005 წ. – 2006 წ. *ქ. თბილისის თემქის დასახლების რვა სკოლასა და სათემო კავშირის „მთისძირი“ (ვარდაბნის რაიონი) ეკოკლუბში პროგრამის „განათლება უფლებამოსილებისთვის“ დანერგვა; საჩვენებელი ტრენინგები და ტრენინგების სრული კურსი სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებლად; ახალი ტრენერების ბავშვებთან მუშაობის მონიტორინგი.*	$ 4 000
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ქალთა პროგრამის საქმიანობა	მონაწილეობა გენდერული კვლევების განვითარების საზაფხულო სკოლაში (2006 წ.) *გენდერული კვლევების განვითარების 2006 წლის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მონაწილეთა შერჩევა კონკურსის საფუძველზე; კონკურსის ჩატარება ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქალთა ქსელურ პროგრამასთან თანამშრომლობით.*	$ 137
დოკუმენტალისტთა საინიციატივო ჯგუფი	ზეპირი ისტორიების განვითარებისთვის *ზეპირი ისტორიების ვიდეობანკის შექმნა; ზეპირი ისტორიების აუდიოდოკუმენტირება და ტექსტების მომზადება გამოსაქვეყნებლად; მუშაობა თექვსმეტ რესპონდენტ ქალთან ქ. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში; საკვლევი თემები: პოლიტპატიმრობა, ეთნიკურად შეფერილი კონფლიქტები, საქართველოს გასაბჭოება და რეპრესიები, სამამულო ომი, ეროვნული მოძრაობა.*	$ 12 893
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ქალთა პროგრამის საქმიანობა	„გენდერული მონტაჟის“ ყირიმის საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა - 2 *კინოდოკუმენტალისტების – ლიანა ჯაყელის, ნატალია ზაზაშვილის, ლევან ღლონტისა და პროგრამის კოორდინატორის მონაწილეობა ყირიმის მეორე საერთაშორისო სამუშაო შეხვედრაში (მასტერკლასი) და მოსამზადებელი სამუშაოები.*	$ 6 226

ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის	კრებულის „გენდერი, კულტურა და თანამედროვეობა“ მეორე ნაწილის გამოცემა *2005 წელს ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ქალთა პროგრამის მხარდაჭერით გამოცემული კრებულის „გენდერი, კულტურა და თანამედროვეობა“ მეორე ნაწილის შედგენა, მომზადება და გამოცემა (ექვსი ქართველი ავტორის წერილებით მოცული შემდეგი სფეროები: ფემინისტური ფილოსოფია, ფემინისტური იურისპრუდენცია, გენდერი და კინოხელოვნება, გენდერი და პოლიტიკის კვლევა, გენდერი და კულტურის კვლევები, გენდერი და მედია კვლევები).*	$ 9 491
სტუდიომობილი - აქცენტი მოძრაობაზე	ქალის მონაწილეობა საზოგადოების განვითარებაში *კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის, ვარინკა წერეთლის შესახებ დოკუმენტური ფილმის შექმნა: ბიოგრაფია, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო მოღვაწეობა, სიმღერის „სულიკო“ პოპულარიზაციის ისტორია, ვარინკა წერეთლის ბრძოლა საავტორო უფლების აღიარებისთვის (ეძღვნება საზოგადო მოღვაწე ქალებს).*	$ 8 700
ნატალია ზაზაშვილი	ახალი ცხოვრება *ოჯახური ძალადობის თემაზე დოკუმენტური ფილმის შექმნა: ფილმის გმირი ქალი, რომელმაც ოჯახური ძალადობის სიმწარე გამოსცადა და დასძლია, იბრძვის და ზრუნავს არაძალადობრივი, ჰარმონიული გარემოს დასამკვიდრებლად თავის სოფელში.*	$ 9 898
გენდერ მედია კავკასია	ჟურნალის „ქალთა დიალოგი“ გამოცემა *რუსულენოვანი ჟურნალის „ქალთა დიალოგი“ ორი ნომრის გამოცემა. ნომრების ძირითადი თემა: ქალთა გლობალური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი მოვლენები (მთ. რედაქტორი გალინა პეტრიაშვილი)*	$ 3 887
ქალთა ცენტრი	სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების დანერგვა და ახალგაზრდული სამსახურის შექმნა *საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება; წიგნის „რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები“ მომზადება და გამოცემა; საინფორმაციო სამსახურის შექმნა და აღჭურვა; სოციოლოგიური გამოკითხვა და ახალგაზრდა ტრენერთა მოსამზადებლად რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში საგანმანათლებლო მუშაობა.*	$ 8 000
ქ. გორის ინვალიდთა კლუბი	როდესაც არ გყავთ ექიმი *ინგლისურიდან ნათარგმნი წიგნის „ჯანმრთელობის ცნობარი უნარშეზღუდული ქალებისთვის“ რედაქტირება, გამოცემა და პრეზენტაცია; წიგნის დისტრიბუცია და ექიმთა ლექცია-სემინარები წიგნის გამოყენების თემაზე.*	$ 3 134
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ქალთა პროგრამის საქმიანობა	მონაწილეობა ქალთა მდგომარეობის კომისიის მუშაობასთან დაკავშირებულ ნიუ-იორკის მოვლენებში *საქართველოს დელეგატების, თამარ საბედაშვილისა და გალინა პეტრიაშვილის თანადაფინანსება ქ. ნიუ-იორკში ქალთა სტატუსის კომისიის საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილების მისაღებად.*	$ 1 375

ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ ქალთა პროგრამის საქმიანობა	პროგრამის კოორდინატორის მონაწილეობა საერთაშორისო სემინარში „ათასწლეულის მიზნების განხორციელების გენდერული მონიტორინგი“ (ქ. მოსკოვი) *სოციალური და გენდერული პოლიტიკის ინსტიტუტის (რუსეთი) მიერ ორგანიზებულ სემინარში: „გენდერული მონიტორინგის განვითარების პერსპექტივების ანალიზი და შეფასება რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე“ ქალთა პროგრამის მონაწილეობა; ქალთა პროგრამის კოორდინატორის დამატებითი აქტივობა: „ქალთა მეხსიერება“-ის სერიის პირველი წიგნის „მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეში“ პრეზენტაცია ჟურნალისტთა სახლში.*	$ 1 071
ფონდის „ღია საზოგადოება –საქართველო“ ქალთა პროგრამის საქმიანობა	სემინარი თემაზე - საქართველოში ათასწლეული მიზნების განხორციელება *ქალთა მოძრაობის ლიდერებისთვის ფონდის “ღია საზოგადოება - საქართველო“ ოფისში ერთდღიანი საინფორმაციო სემინარი. თემები: სიღარიბის დაძლევის ინიციატივები გლობალურად და საქართველოში; რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები. სემინარის მომზადება-ჩატარებაში უსასყიდლოდ მონაწილეობა: ქალთა პროგრამის ექსპერტთა კომისიის წევრები და ორგანიზაცია „ქალთა ცენტრი“.*	$ 200
ქალთა პროგრამის შიდა პროექტი	ქალთა მეხსიერების სერია, გამოცემები *ორი წიგნის გამოცემა სერიიდან „ქალთა მეხსიერება“: 2003 წელს მხარდაჭერილი კვლევა „პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან“ (ავტორი მარინე ბერიძე) და 2005 წლის შიდა პროექტის ფარგლებში მომზადებული თინა თუშმალიშვილის ბიოგრაფიის ამსახველი კრებული „თინა“ (მოგონებები, დღიურები, წერილები).*	$ 4 984
საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი	ქალთა საინფორმაციო მხარდაჭერის ცენტრი *მარნეულის ქალთა საინფორმაციო ცენტრის საქმიანობის გაგრძელება; ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევისკენ მიმართული საქმიანობა: ინფორმაციული უზრუნველყოფა, ტრენინგ-სემინარი მარნეულის რაიონის პოლიციის მუშაკებისთვის (ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან ერთად), თანამშრომლობა რაიონულ მედიასთან; პროგრამის „განათლება უფლებამოსილებისთვის“ ტრენერების მომზადება რაიონის სკოლებში პროგრამის დასანერგად; ხალხური რეწვის სახელოსნო.*	$ 4 000
ქალთა საინფორმაციო ცენტრი	ქალთა ორგანიზაციების წარმატების საინფორმაციო სივრცე *ფონდის ქალთა პროგრამის მხარდაჭერით 2004 წელს შექმნილი რეგიონალური, სამხრეთკავკასიური ვებ-გვერდის (www.ginsc.net) შემდგომი განვითარების თანადაფინანსება; ბიულეტენის გამოშვება; ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის საქართველოს რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციებისთვის მისაწოდებლად.*	$ 1 515
ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ ქალთა პროგრამის საქმიანობა	მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში „მამაკაცები დეკრეტულ შვებულებაში“ *ლიტვაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში „მამაკაცები დეკრეტულ შვებულებაში“ ქალთა პროგრამის ასისტენტის მონაწილეობა. კონფერენციაზე წარმოდგენილი თემები: სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ამ საკითხში.*	$ 890

ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ ქალთა პროგრამის საქმიანობა	ქალთა პროგრამებთან დაკავშირებული თარგმანები და რედაქტირება *ქალთა პროგრამის სხვადასხვა სამუშაო მიმართულების საჭიროებებთან დაკავშირებით (განხორციელება – ხელშეკრულების საფუძველზე) ტექსტების თარგმანები და რედაქტირება.*	$ 1 569
ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი	პროგრამა „ატლანტისი“ საქართველოში“ *„ატლანტისის პროგრამის დასაწყისი საქართველოში“; პოლონელი ტრენერების მიერ სემინარის ჩატარება ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების პატიმართა მკურნალობის საკითხებზე (თებერვალი, 2005 წ.). სემინარის მონაწილეები: საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებათა თანამშრომლები და არასამთავრობო ორგანიზაციები.*	$ 3 456
ელისო ამირეჯიბი, ზოია ხასია, ნატო შავლაყაძე	მონაწილეობა „ატლანტისის პროგრამის“ რეგიონალურ კონფერენციაში *ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ლიდერებისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლის მონაწილეობა „ატლანტისის“ პროგრამის რეგიონალურ კონფერენციაში (ქ. ბიშკეკი, ყირგიზეთი).*	$ 2 595
მანანა სოლოღაშვილი, ნინო შენგელია, მაია ოგრაფიშვილი, ვლადიმერ თოდაძე, ნათია ჯიქია	მონაწილეობა პროგრამა „ატლანტისის“ საერთაშორისო სემინარში; პრაქტიკა პოლონეთის ციხეში *არასამთავრობო ორგანიზაციის ორი ლიდერისა და სამთავრობო უწყებათა სამი წარმომადგენლის მგზავრობა პოლონეთში დამოკიდებულ პატიმართა მკურნალობის შესახებ სემინარებზე დასასწრებად და ციხეებში პრაქტიკის გასავლელად (ივნისი, 2005 წ.).*	$ 3 185
	რეგიონალურ საზაფხულო სკოლაში „დამოკიდებულება და ძალადობა“ მონაწილეობა *რეგიონალურ საზაფხულო სკოლაში „დამოკიდებულება და ძალადობა“ მონაწილეობა.*	$ 3 166
საინიციატივო ჯგუფი „იდუმალი“	მესხური ნობათი *მესხეთის სოფლების, ნიჯგორის, იდუმალას და ოშორას მკვიდრი ახალგაზრდა ქალთა ინიციატივა – ბაქმაზისა და სხვადასხვა ხილის ტყლაპების წარმოებისა და რეალიზაციის საქმის აწყობა; იურიდიულ პირად ჩამოყალიბება საზოგადოებრივი და შემოსავლის მომტანი საქმიანობის გასაგრძელებლად.*	$ 3 533
ჯგუფი „თორი“	მეღორეობის განვითარება სოფელ ტიმოთესუბანში *ბორჯომის რაიონის სოფ. ტიმოთესუბნის ახალგაზრდა ქალების ინიციატივა – მეღორეობის ფერმის მოწყობა; ფერმის აშენება, საკვების მომარაგება, სახორცე ჯიშის ღორების შესყიდვა და მოვლა; საქმის გაფართოება.*	$ 3 800
მანანა ლოქაფიშვილი	ნობათი კახეთიდან *თელავის რაიონის სოფელ რუისპირის ქალთა ინიციატივა – ეკოლოგიურად სუფთა, განსაკუთრებული ხარისხის კახური ჩურჩხელის დამზადება, საგანგებო შეფუთვა და რეალიზაცია.*	$ 1 596

სოფ. ნატანების ქალთა საინიციატივო ჯგუფი	ქალები ქალებისთვის *ოზურგეთის რაიონის სოფ. ნატანებში მცხოვრებ ქალთა ინიციატივა: ნატანებში თხილის სატეხი მინიქარხნისა და ხილის საშრობის მოწყობა; სოფლის მაცხოვრებელთა სოციალური მდგომარეობის მიხედვით დაუცველი ჯგუფების დახმარების სხვადასხვა ფორმების გათვალისწინება: შემოსავლის განაწილება, დასაქმება, მარტოხელა, შრომისუნარმოკლებული ადამიანების მოსავალზე ზრუნვა/შემოსავლით უზრუნველყოფა.*	$ 3 767
არასამთავრობო ორგანიზაცია „ფშავი“	ნატურალური შალი ბუნებრივ ფერებში *ხალხური რეწვის (ფარდაგების, წინდების, შალისა და სხვა ტრადიციული პროდუქციის) შემსწავლელი ცენტრის შექმნა ფშავში: ყოფილი სკოლის შენობის შეკეთება სოფ. მადაროსკარში, მასალის შეძენა და ხელსაწყოების დამზადება, ხელსაქმის სწავლება და გამოფენა.*	$ 3 800
გალინა პეტრიაშვილი	ჟურნალის „ადამის ნეკნი“ *წინა წელს მხარდაჭერილი პროექტის „ჟურნალისტები სექსიზმის წინააღმდეგ პოპულარულ კულტურაში“ დამატებითი დაფინანსება პროექტის ფარგლებში მომზადებული ჟურნალის „ადამის ნეკნი“ გამოსაცემად.*	$ 400
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ქალთა პროგრამის საქმიანობა	სოფლად მცხოვრებ ქალთა კონსულტირება მცირე ბიზნესის დარგში და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარი *საგანგებო კონსულტანტის მომსახურება ორთვენახევრიანი საკონსულტაციო პერიოდის განმავლობაში და პროექტების განხორციელებადობის შემოწმებისას ადგილებზე; სემინარების ორგანიზება კონკურსში გამარჯვებული გუნდებისთვის ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ოფისში. სასემინარო თემები: ბიზნეს გეგმის შემუშავება და საგადასახადო კოდექსი.*	$ 2 196
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ქალთა პროგრამის შიდა პროექტი	საერთაშორისო სემინარი ვებ-გვერდის stopvaw.org ეროვნული მონიტორებისათვის *ქალთა ქსელური პროგრამის ინიციატივით დაარსებული საერთაშორისო ვებ-გვერდის (stopvaw.org) ეროვნულ მონიტორთა ქ. თბილისის მეორე ტრენინგ-სემინარი (21 მონაწილე ქვეყანა). ტრენინგ-სემინარების ფასილიტატორი ორგანიზაცია: „მინესოტელი უფლებადამცავები ადამიანის უფლებებისათვის“. შენიშვნა: პროექტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 21 877 აშშ დოლარი.19 009 აშშ დოლარი მიზნობრივად გადმოტანილ იქნა 2004 წლის ბიუჯეტიდან.*	$ 2 868
პროექტების შერჩევისა და მონიტორინგის ხარჯი, პროგრამის ასისტენტის ანაზღაურება		$ 3525
		სულ: $241444

პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი:		104 000
დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან	ღია საზოგადოების ინსტიტუტი(OSI):	108 314
	ფონდის სხვა პროგრამები:	0
	ღია განკარგვის ფონდი (ODF):	29 130
	მესამე წყარო:	0
სულ პროგრამული აქტივობებისათვის განკუთვნილი თანხა:		241 444
ადმინისტრაციული ბიუჯეტი:		14 500



- პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი
- ღია საზოგადოების ინსტიტუტიდან დამატებული თანხა (OSI)
- ღია განკარგვის ფონდიდან დამატებული თანხა (ODF)
- ადმინისტრაციული ბიუჯეტი

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის მიზანია გრანტების გაცემის გზით მხარი დაუჭიროს საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროს განვითარებას.

2005 წელს პროგრამა მუშაობდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- ❑ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლების მხარდაჭერა;
- ❑ სასწავლო და საგანმანათლებლო კურსების, სემინარების ჩატარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შემდეგ სფეროებში:
  ჯანდაცვის მენეჯმენტი, ჯანდაცვის ეკონომიკა, ჯანდაცვის პოლიტიკა და სხვ.
- ❑ უწყვეტი პროფესიული განათლების (უპგ) სისტემის ხელშეწყობა;
- ❑ მენტალურად დაავადებულთა დეინსტიტუციონალიზაციის თემაზე ორიენტირებული ალტერნატიული პროგრამების მხარდაჭერა;
- ❑ ფსიქიკური ინვალიდობის მქონე ბავშვების ინკლუზიური განათლება;
- ❑ ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მოხმარების შედეგად გამოწვეული ზიანის შემცირების პროექტების მხარდაჭერა, რაც გულისხმობს ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის ალტერნატიული პროგრამების შეთავაზებას. ამ სფეროში არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, ნარკოტიკებისა და მომხმარებლების შესახებ არსებული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების რევიზია;
- ❑ ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობის ამაღლებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერა;
- ❑ სამედიცინო საზოგადოებისთვის პალიატიური მედიცინის თანამედროვე ამოცანების და მიდგომების გაცნობა, პალიატიური მედიცინის სფეროში საცდელი პროექტების განხორციელება.

პროგრამული აქტივობები

კავშირი „ონკოპრევენციის ცენტრი“	პალიატიური მზრუნველობის დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით *საქართველოში პალიატიური მზრუნველობის განვითარების ორგანიზაციული და ფინანსური სახელმწიფო გარანტიების შემუშავების ხელშეწყობა;* *პალიატიური მზრუნველობის სისტემის შემდგომი დახვეწისათვის შესაბამისი ინფორმაციული და ბიოეთიკური გარემოს შექმნა;* *სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე ბავშვთა პალიატიური მზრუნველობის ადაპტირებული მოდელის შემუშავება;* *საქართველოს მასშტაბით პალიატიური მზრუნველობის ყოველთვიური ბიულეტენის მომზადება, გამოცემა და გავრცელება (მედიკოსები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები).*	$ 14 935
დიმიტრი კორძაია	ეროვნული პალიატიური პროგრამის შემუშავება - კოორდინატორი დიმიტრი კორძაია *პალიატიური მზრუნველობის ჯანდაცვის ეროვნულ გეგმაში ასახვა;* *პალიატიური მზრუნველობის სახელმწიფო დაფინანსების სიტემაში (ცენტრალური, მუნიციპალური, რეგიონალური) დამატება;* *კანონში „სამედიცინო საქმიანობის შესახებ“ ტერმინების „ტკივილის კონტროლი“ და „პალიატიური მზრუნველობის“ დამატება;-სამედიცინო საზოგადოებისათვის მუდმივი ადვოკატირების სამუშაოების წარმოება;- ქვეყანაში ნარკოტიკების წლიური მოხმარების შეფასება.*	$ 12 000
დავით ოთიაშვილი	კონფერენცია *დავით ოთიაშვილის მონაწილეობა კონფერენციაში, ვარნა, 7-13 ივნისი, 2005 წ.*	$ 950

ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრი „ახალი გზა“	თვითდახმარების ჯგუფები მომხმარებელთა უფლებების დასაცავად *ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა თვითდახმარების ჯგუფის შექმნა ფსიქო-სოციალური და უფლებების მხარდაჭერის მიზნით; ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა უფლებების დაცვის პირობების ხელშეწყობა; მომხმარებელთა შორის საკუთარი უფლებების შესახებ ცოდნის გაღრმავება, მათი საჭიროებების და მოთხოვნილებების შესწავლა და სხვ.*	$ 9 995
* ფსიქომეტრული და საკონსულტაციო ასოციაცია	ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა გ. რამიშვილის სახ. სკოლაში *გ. რამიშვილის საავტორო სკოლის მომზადება ინტეგრირებული სწავლებიდან სწავლების ინკლუზიურ ფორმაზე გადასასვლელად, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მომზადება ინკლუზიისთვის და მათი ჩვეულებრივ კლასში ჩართვა. პროექტი ამ მიზნების განხორციელებას გეგმავს შემდეგი გზებით: სკოლის მასწავლებლების ტრენინგი და ზედამხედველობა, ჯანმრთელი ბავშვების ტრენინგი განსხვავებული ბავშვის მიმღებლობის გაზრდის მიზნით, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ფსიქიკური განვითარების შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა, ეროვნული სასწავლო გეგმის მორგება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვის შესაძლებლობებზე და სხვ.*	$ 30 541
საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრი	ინკლუზიური ჯგუფების შექმნა დაწყებით კლასებში *სკოლამდელ და დაწყებით კლასებში ბავშვზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც ხელს უწყობს სწავლების ავტორიტარული მიდგომის დემოკრატიული მიდგომებით შეცვლას; ისეთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პრინციპების შემოღება, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ყოველმხრივ ზრდასა და განვითარებას, საზოგადოებისა და ოჯახების ჩართვას სკოლების ცხოვრებაში და სხვ.*	$ 7 500
ქართველი ექიმები – ნინო ბრეგვაძე, დავით გიგინეიშვილი, კახაბერ ახვლედიანი, მარიამ პეტრიაშვილი, თამარ მხატვარი, ზვიად ყიფიანი, ლელა მასხულია, ია ქამხაძე, ქეთევან გველესიანი, თინათინ აფციაური, მერაბ ბზიკაძე, გიორგი ჩხარტიშვილი, ზურაბ სიხარულიძე, ლია ჯინჭარაძე, დიმიტრი ჯორბენაძე, მარიანა მდინარაძე, ვასილ გოტაძე, მალხაზ ჯალაღონია, ნანა რურუა, თამარ რუხაძე, გიორგი ჩახავა, გიორგი სიხარულიძე	სამედიცინო სემინარი *ზალცბურგის სამედიცინო სემინარებში მონაწილეობა*	$ 10 410
* კავშირი „ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“	მენტალური ინვალიდობის მქონე ბავშვების ინკლუზიური განათლება *უნარშეზღუდული ბავშვებისათვის ინკლუზიური და ინტეგრირებული სწავლების და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; სასტარტო დაწესებულების შექმნა მოსწავლეთა სასკოლო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად და შემდგომ მათი ჩართვა ინკლუზიურ სასწავლო დაწესებულებებში; მულტიდისციპლინარული სარეაბილიტაციო გუნდის შექმნა, რომელიც არსებული დღის ცენტრის ბაზაზე მოახდენს უნარშეზღუდულ ბავშვთა ინტელექტუალურ მომზადებას სასკოლო ცხოვრებისათვის და განახორციელებს მათ სოციალურ, ქცევით და ემოციურ რეაბილიტაციას.*	$ 19 765

* ნაწილობრივ, წინა წლის ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტები.

კავშირი „თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისათვის“	პარტნიორების ჩართვა ფსიქიკური პოლიტიკის შემუშავებაში *ფსიქიკურად დაავადებულთა და მათი ოჯახის წევრთა ფსიქიკური პოლიტიკის შემუშავების ჩართვისაკენ მიმართული ღონისძიებები*	$ 25 000
ლია ჯინჭარაძე, ნიკოლოზ ღამბაშიძე, ზურაბ სიხარულიძე	ჩანაცვლებითი თერაპიის სასწავლო ვიზიტი *ჩანაცვლებითი თერაპიის სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა - ვილნიუსი, 11-16 დეკემბერი, 2005 წ.*	$ 6 000
თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციის და მონიტორინგის ცენტრი	თამბაქოს კონტროლის ახალი პოლიტიკის ფორმირების ხელშეწყობა საქართველოში *კვლევის მიზანი: თამბაქოს პროდუქციის ეკონომიკური ღირებულების და თამბაქოს მოხმარების ღირებულების შეფასება.*	$ 19 850
ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრი „ახალი გზა“	ზიანის შემცირების პრეს-კლუბი *სახელმწიფოში ნარკოპოლიტიკის რეორიენტაციის პროცესის რეალურად დაწყების დაჩქარება მასმედიის შესაძლებლობების გამოყენებით; ზიანის შემცირების მიმდინარე პროგრამების ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა და ნარკოპოლიტიკაში ზიანის შემცირების სტრატეგიის დამკვიდრების მხარდაჭერა.*	$ 12 000
დავით ოთიაშვილი	ზიანის შემცირების კონფერენცია *ვილტონ პარკის ზიანის შემცირების კონფერენციაში მონაწილეობა, მარტი 21-24, 2005 წ.*	$ 970
ქალთა კლუბი „პეონი“	სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა - პროგრამა „ატლანტისის“ განვითარება საქართველოში *ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პატიმართა რიცხვის შემცირება; პატიმართა საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა; პროგრამა „ატლანტისის'' განვითარება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა #5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში და სხვ.*	$ 10 200
ოთარ სართანია, ნინო ჯანაშია, ჭაბუა მიქაძე, ზურაბ ბროლაძე, თამარ სხიერლი, ვახტანგ გამსახურდია, გოდერძი მეგრელაძე	ზიანის შემცირების სასწავლო ვიზიტი *ზიანის შემცირების სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა - ლვოვი, 1-5 აგვისტო, 2005 წ.*	$ 7 000
ასოციაცია „ათინათი''	„ზღვარი“ *აივ/შიდსის, ჰეპატიტების და სხვა სისხლით გადამდები და ჯანმრთელობისათვის საშიში ინფექციების გავრცელების პრევენცია ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებელში - მასმედიური კამპანია.*	$ 6 258
დავით ოთიაშვილი, ალექსანდრე შოშიკელაშვილი, ზურაბ დანელია, მარინა ასათიანი	კონფერენცია *კონფერენციაზე „ტექნიკური დახმარების მდგრადი განვითარება“ დასწრება, ვილნიუსი, 3-5 ნოემბერი, 2005 წ.*	$ 2 400
საინიციატივო ჯგუფი	საექთნო განათლება საქართველოში *ემორის უნივერსიტეტში (ატლანტა) ქართველი სპეციალისტების სამთვიანი სტაჟირება.*	$ 44 800

აფხაზური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა კავშირი „თანადგომა“	აფხაზეთის მოსახლეობის აივ-ით (შიდსით) ინფიცირების რისკის შემცირება *ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარების შედეგად გამოწვეული ზიანის შემცირების ღონისძიებები მიმართული აფხაზეთის მოსახლეობის აივ-ით (შიდსით) ინფიცირების რისკის შემცირებისკენ.*	$ 29 490
იათამზე ვერულაშვილი	ასტრა სემინარი *იათამზე ვერულაშვილის მონაწილეობა ასტრა სემინარში, ვარშავა, 11-13 ნოემბერი, 2005 წ.*	$ 710
ლელა სტურუა	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლა *ლელა სტურუას მგზავრობა ბრაუნის (ქ. იერუსალიმი) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლაში, 28 ოქტომბერი-ღია თარიღი*	$ 980
ნინო შარიქაძე, ინეზა შარიქაძე, დიმიტრი კორძაია, რემა ღვამიჩავა	სემინარი *სემინარში “პალიატიური მზრუნველობა სიმსივნურ ავადმყოფებში“ მონაწილეობა, ბუდაპეშტი, 4-12 სექტემბერი, 2005 წ.*	$ 3 600
ანა ლაღიძე, მაია ბიბილეიშვილი, ჟანა კვაჭაძე, ქეთევან ფილაური	სასწავლო ვიზიტი *გონებრივად დაავადებულთა დახმარების პროგრამის სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა, რუმინეთი (ქ. ტიმისუარა), დღის ცენტრი „სპერანცა’*	$ 4 000
ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა	შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის პროგრამა „აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში“ (კომპონენტი II - ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებლებში აივ/შიდსის გავრცელების პრევენცია.) *ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის აივ/შიდსის გავრცელების პრევენცია მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის და შპრიცების გაცვლის პროგრამების და ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების ცენტრების მეშვეობით (ქქ. თბილისი, გორი, ბათუმი, ზუგდიდი და ფოთი).*	$ 173 303
პროექტების შემუშავების, შერჩევის და მონიტორინგის ხარჯი; პროგრამის ასისტენტის ანაზღაურება; ქსელური პროგრამის ოპერაციული ხარჯი; ტექნიკური დახმარების, სემინარების, კონფერენციების ოპერირების ხარჯი		$ 46 170
		სულ: $498 828

პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი:		125 000
დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან	ღია საზოგადოების ინსტიტუტი(OSI):	200 525
	ფონდის სხვა პროგრამები:	0
	ღია განკარგვის ფონდი (ODF):	0
	მესამე წყარო:	173 303
სულ პროგრამული აქტივობებისათვის განკუთვნილი თანხა:		498 828
ადმინისტრაციული ბიუჯეტი:		15 000



- პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი
- ღია საზოგადოების ინსტიტუტიდან დამატებული თანხა (OSI)
- მესამე წყაროდან მიღებული თანხა
- ადმინისტრაციული ბიუჯეტი

საინფორმაციო პროგრამა

საინფორმაციო პროგრამის მიზანი იყო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოპულარიზაციით საქართველოში საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

2005 წელს პროგრამა მუშაობდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს რეგიონებში;
- სამეცნიერო და საგნმანათლებლო საინფორმაციო ქსელის მხარდაჭერა;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ხელისუფლების მუშაობის ეფექტურობის გაზრდა; ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის გამყარება;
- საქართველოს რეგიონებში ციფრული გახლეჩის აღმოფხვრა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პოპულარიზაცია;
- ღია პროგრამული პლატფორმების პოპულარიზაცია;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების პოპულარიზაცია სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებში.

2005 წლის ნოემბრის თვეში ფონდში განხორციელებული სტრუქტურული და სტრატეგიული ცვლილებების შედეგად საინფორმაციო პროგრამა დაიხურა. რიგი მიმართულებებით პროგრამის საქმიანობის გაგრძელება თავის თავზე აიღო არასამთავრობო კავშირმა „ღია კონსულტანტები", რომელიც დაარსდა 2004 წელს საინფორმაციო პროგრამის ერთ-ერთი შიდა პროექტის შედეგად.

პროგრამული აქტივობები

ირაკლი ყალიჩავა	მეორადი კომპიუტერის გადაცემა *ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" მიერ შეძენელი მეორადი კომპიუტერის გრანტად გადაცემა.*	*
ვალერი ჩიტალაძე, თეა ხარიტონაშვილი, ანა ქეშელაშვილი	მობილური კონსულტანტების ვიზიტი ბულგარეთში *ღია კოდის პროგრამული უზრუნველყოფის პოპულარიზაციის სემინარი ბულგარეთში.*	$ 3 635
საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია - გრენა	გრენას მხარდაჭერა - 2005 წ. *საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელის გამართული ფუნქციონირება, განვითარება და ქსელის მუშაობის საიმედოობის შემდგომი სრულყოფა.*	$ 122 000
საერთაშორისო უწყებათშორისი გაერთიანება, საქველმოქმედო საზოგადოება „აფხაზეთი"	მეორადი კომპიუტერების გადაცემა *ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" მიერ შეძენილი ორი ცალი მეორადი კომპიუტერის გადაცემა.*	*
საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია - გრენა	მეორადი კომპიუტერების გადაცემა გრენასათვის *ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" მიერ შეძენილი ოცდაორი ცალი მეორადი კომპიუტერის გრანტად გადაცემა გრენასათვის.*	*
ქ. ლაგოდეხის ბიბლიოთეკა	მოძრავი ბიბლიოთეკა *მოძრავი ბიბლიოთეკის შექმნა*	$ 1 200

თეა ხარიტონაშვილი	ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციების ტექნიკური შეფასება საქართველოსა და სომხეთში *ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციების ტექნიკური შეფასება საქართველოსა და სომხეთში; ვიზიტები შესაბამის ორგანიზაციებში საქართველოსა და სომხეთში.*	$ 654
კავშირი „ღია კონსულტანტები“	საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების ინიციატივა: სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში *მობილური კონსულტანტების მოდელის გამოყენებით ადამიანის უფლებების და თავისუფალი მედიის ორგანიზაციებისათვის კონსულტაციების გაწევა უსაფრთხო ოფისსა და უსაფრთხო ელექტრონულ კომუნიკაციებში.*	$ 15 200
საინიციატივო ჯგუფი	ქართული ენის მართლწერის შესამოწმებელი კომპიუტერული პროგრამა *ქართული ენის მოდელირების პრობლემის ერთიანი ხედვიდან გამომდინარე ორთოგრაფიული მართლწერის შემმოწმებელი პროგრამის შექმნის ამოცანის გადაჭრა.*	$ 21 000
რამაზ ქვათაძე	ნატოს ვირტუალური აბრეშუმის გზის პროექტის კოორდინაცია კავკასიაში *ნატოს სამეცნიერო პროგრამის მიერ დაფინანსებული ვირტუალური აბრეშუმის გზის პროექტის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პროექტების კოორდინაცია.*	$ 1 800
კავშირი „ღია კონსულტანტები“	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შესაძლებლობათა ზრდისა და სოციალური ცვლილებებისათვის *საქართველოს არასამთავრობო, სამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების კონსულტირება და ტექნიკური მხარდაჭერა; ღია კოდის პროგრამული უზრუნველყოფის პოპულარიზაცია; უკაბელო ტექნოლოგიებზე დამყარებული კომპიუტერული ქსელების პოპულარიზაცია რეგიონებში.*	$ 78 890
ფონდი „სოროსის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამები“	მე – ახალგაზრდა მეცნიერი *15-დან 20 წლამდე მოზარდთა კონკურსი; მათ მიერ შექმნილი მეცნიერული და ტექნოლოგიური სიახლეების კვალიფიციური ჟიურის წინაშე წარმოდგენა და დაცვა.*	$ 1 498
ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“	ვეფხვის ნახტომი საქართველოში *ესტონური სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამის - „ვეფხვის ნახტომის“ და საქართველოს ანალოგიური პროგრამის „ირმის ნახტომის“ ერთობლივი კონფერენცია; ესტონური გამოცდილების გაზიარება ქართველი მასწავლებლებისთვის.*	$ 3 340
ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“	ლოკალიზაციის საზაფხულო ბანაკი *მოხალისეების მოწვევით ურეკის საზაფხულო ბანაკში ღია კოდი პროგრამული პაკეტის "KDE" გაქართულების დაჩქარება.*	$ 5 920
ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საინფორმაციო სისტემა *სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის მონაცემთა ბაზის შემუშავება და მისი ინტეგრაცია სამუშაო პროცესთან.*	$ 3 400

ანა ქეშელაშვილი, ზვიად სულაბერიძე	ბიზნეს-დაგეგმვის ტრენინგი *არასამთავრობო ორგანიზაცია „NESST"-ის მიერ არამომგებიანი ორგანიზაციებისათვის ჩატარებული ბიზნეს-დაგეგმვის ტრენინგში მონაწილეობა.*	$ 1 905
პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა ადმინისტრაციული ღონისძიებები და უცხოელი ექსპერტების ვიზიტები		$ 3 341
		სულ: $263 783

* ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" მიერ შეძენილი მეორადი კომპიუტერების გადაცემა მოხდა უსასყიდლოდ

2005 წელში, დამატებით, მიმდინარეობდა წინა წლების ბიუჯეტებიდან დაფინანსებული და ჯერ დაუსრულებელი პროექტების - „უკაბელო ტექნოლოგიები სოციალური ცვლილებებისათვის" და „ცოდნაზე დამყარებული არჩევანი" ადმინისტრირება.

პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი:		154 000
დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან	ღია საზოგადოების ინსტიტუტი(OSI):	108 285
	ფონდის სხვა პროგრამები:	0
	ღია განკარგვის ფონდი (ODF):	1 498
	მესამე წყარო:	0
სულ პროგრამული აქტივობებისათვის განკუთვნილი თანხა:		263 783
ადმინისტრაციული ბიუჯეტი:		19 007



მთარგმნელობითი პროგრამა

მთარგმნელობითი პროგრამის მიზანი იყო დემოკრატიული და ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა სოციალური და კულტურული მნიშვნელობის სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნისა და გამოცემის გზით; საკითხზე ორიენტირებული და ინტერდისციპლინარული გამოცემების ხელმისაწვდომობა ფართო ფენებისათვის; საზოგადოების დახმარება დემოკრატიული განვითარების გზაზე წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში.

2005 წელს პროგრამა მუშაობდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- ❑ პოლიტიკური კულტურა;
- ❑ პოლიტიკის ანალიზი;
- ❑ ეკონომიკა;
- ❑ კულტურის სწავლება;
- ❑ სოციალური რეალობის შემსწავლელი ინტერდისციპლინარული კვლევები.

2005 წლის ნოემბრის თვეში მთარგმნელობითი პროგრამა შეუერთდა ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამას.

პროგრამული აქტივობები		
მზია ბაქრაძე	მირჩა ელიადე, „მითის ასპექტები“ *მირჩა ელიადეს ნაშრომის „მითის ასპექტები“ ქართულ ენაზე თარგმნა.*	$ 3 100
ნოდარ ლადარია	ანტონიო გრამში, „საპყრობილის რვეულები“ *ანტონიო გრამშის წიგნის „საპყრობილის რვეულები“ ქართულ ენაზე თარგმნა.*	$ 5 010
ნუგზარ მღვდელაძე	ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი, „გზა მონობისაკენ *ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკის წიგნის „გზა მონობისაკენ“ ქართულ ენაზე თარგმნა.*	$ 3 800
ნანა გოგოლაშვილი	კარლ შმიტი, „პოლიტიკური თეოლოგია“ *კარლ შმიტის წიგნის „პოლიტიკური თეოლოგია“ ქართულ ენაზე თარგმნა.*	$ 3 900
მარინე ამბოკაძე	ენტონი გიდენსი, „საზოგადოების კონსტრუირება“ *ენტონი გიდენსის წიგნის „საზოგადოების კონსტრუირება“ ქართულ ენაზე თარგმნა.*	$ 5 500
ნინო ბეთლემიძე	ჯეიმს ბიუხენენი, „საჯარო ფინანსები დემოკრატიულ პროცესში“ *ჯეიმს ბიუხენენის წიგნის „საჯარო ფინანსები დემოკრატიულ პროცესში: ფისკალური ინსტიტუციები და ინდივიდუალური არჩევანი“ ქართულ ენაზე თარგმნა.*	$ 4 200
მაგდა კობახიძე	ედუარდ საიდი, „ორიენტალიზმი“ *ედუარდ საიდის წიგნის „ორიენტალიზმი“ ქართულ ენაზე თარგმნა.*	$ 4 208
გია ნოდია	მ. ჰორკჰაიმერი, თ. ადორნო, „განმანათლებლობის დიალექტიკა“ თარგმნა *მ. ჰორკჰაიმერისა და თ.ადორნოს წიგნის „განმანათლებლობის დიალექტიკა“ ქართულ ენაზე თარგმნა.*	$ 3 750

თათია მებადიშვილი	მ. ფუკო, „შეშლილობა და ცივილიზაცია“ თარგმნა *მ. ფუკოს წიგნის „შეშლილობა და ცივილიზაცია“ ქართულ ენაზე თარგმნა.*	$ 3 100
ქეთევან რჩეულიშვილი	კ. მანჰაიმი, „იდეოლოგია და უტოპია“ *კარლ მანჰაიმის წიგნის „იდეოლოგია და უტოპია“ ქართულ ენაზე თარგმნა.*	$ 2 700
ზემოთ ჩამოთვლილი პროექტების ფარგლებში შესრულებული თარგმანების სამეცნიერო რედაქტირება		$ 10 828
მთარგმნელობით პროგრამაში მიმდინარე პროექტების ადმინისტრირება		$ 4 000
		სულ: $54 096

2005 წელს, დამატებით, მიმდინარეობდა წინა წლების ბიუჯეტებიდან დაფინანსებული შემდეგი პროექტების ადმინისტრირება: 1. კარლ მენგერის ნაშრომის „ეკონომიკის საფუძვლები“ თარგმნა და გამოცემა; 2. ენტონი დ. სმითის ნაშრომის „ნაციონალური იდენტობა“ თარგმნა და გამოცემა; 3. ირვინ გოფმანის ნაშრომის „საკუთარი თავის პრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში“ თარგმნა და გამოცემა; 4. იურგენ ჰაბერმასის ნაშრომის „კომუნიკაციური ქმედების თეორია: ქმედების რაციონალობა და საზოგადოების რაციონალიზაცია“ თარგმნა და გამოცემა.

მთარგმნელობითმა პროგრამამ მუშაობა დაიწყო 2004 წლის სექტემბრის ბოლოს. წლის ბოლოს გამოცხადდა კონკურსი - „სოციალური და კულტურული ღირებულების სამეცნიერო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა“. კონკურსი გაგრძელდა 2005 წელს და შესაბამისად თანხის ხარჯვა მოხდა 2005 წლის განმავლობაში (Roll Over).

პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი:		41 000
დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან	ღია საზოგადოების ინსტიტუტი(OSI):	0
	ფონდის სხვა პროგრამები:	9 096
	ღია განკარგვის ფონდი (ODF):	0
	მესამე წყარო:	0
სულ პროგრამული აქტივობებისათვის დახარჯული თანხა:		50 096
ადმინისტრაციული ბიუჯეტი:		4 000



- პროგრამული აქტივობების ეროვნული ბიუჯეტი
- ფონდის სხვა პროგრამებიდან დამატებული თანხა
- ადმინისტრაციული ბიუჯეტი

ხელოვნებისა და კულტურის პროგრამა
(ეროვნული და ქსელური პროგრამები)

2005 წელს ფონდში მუშაობდა ხელოვნებისა და კულტურის სფეროს განვითარების მხარდამჭერი ორი პროგრამა:
- ხელოვნებისა და კულტურის ეროვნული პროგრამა;
- ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის ხელოვნებისა და კულტურის ქსელური პროგრამა.

ეროვნული პროგრამის მთავარი მიზანი იყო საქართველოს მრავალეთნიკური კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, სრულფასოვანი ინტეგრაცია კულტურის გლობალურ პროცესებში.

ეროვნული პროგრამის მთავარ ამოცანებს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, საქართველოს კულტურისა და ხელოვნების შესწავლა დაცვა, საქართველოს კულტურაში მსოფლიო კულტურული მიღწევების ათვისება/ადაპტირება და, მეორე მხრივ, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს კულტურის აღქმისა და დაფასების ხელშეწყობა.

2005 წელს პროგრამა მუშაობდა შემდეგ პრიორიტეტებზე:
- ☐ კულტურის კვლევა და შესწავლა;
- ☐ თანამედროვე ხელოვნება და კულტურა;
- ☐ კულტურის მემკვიდრეობა;
- ☐ კულტურის პოლიტიკის ხელშეწყობა.

2005 წლის ნოემბერში ხელოვნებისა და კულტურის პროგრამა დაიხურა. მისი ცალკეული კომპონენტები შევიდა ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამაში.

ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის ხელოვნებისა და კულტურის ქსელური პროგრამა 2005 წელს ხელს უწყობდა კულტურულ და შემოქმედებით თანამშრომლობას სოროსის ფონდების ქსელში; გამოცხადებული კონკურსების საფუძველზე პროგრამა მხარს უჭერდა სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას კულტურის პოლიტიკაში; ეხმარებოდა დამოუკიდებელი და ინოვაციური ხელოვნების სექტორის ჩამოყალიბებას.

2005 წლის პროგრამის მთავარი მიზანი იყო ქვეყნებს შორის კულტურული თანამშრომლობის და კონტაქტების გაღრმავების ხელშეწყობა.

2005 წელს ხელოვნებისა და კულტურის პროგრამის გეოგრაფიული პრიორიტეტები იყო: კავკასია (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო), ცენტრალური აზია (ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი), მონღოლეთი, ირანი, თურქეთი და ავღანეთი. პროგრამის ყველა კონკურსი 2005 წელს მხოლოდ ზემოხსენებულ ქვეყნებს ეხებოდა.

2006 წლიდან ინტეგრაციისა და სამოქალაქო განათლების პროგრამა ადმინისტრირებას გაუწევს ხელოვნებისა და კულტურის ქსელური პროგრამის კონკურსებს.

პროგრამული აქტივობები

გოჩა ჯაფარიძე	წმინდა მიწაზე ქართული ეკლესიის ისტორიის XXIII-XVI სს. არაბული დოკუმენტური წყაროები *წმინდა მიწაზე ქართული ეკლესიის ისტორიის XXIII-XVI სს. არაბული დოკუმენტების პუბლიკაცია (I ტომი).*	$ 4 000
ლელა ხოფერია	სანკტ-პეტერბურგში დაცული უცნობი ქართული ხელნაწერების კატალოგის მომზადება *რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის ფილიალში დაცული უცნობი ქართული ხელნაწერების კატალოგის მომზადება.*	$ 3 934

ლია ბაკურაძე	ეროვნული კულტურის უცნობი ფრაგმენტები - ფერეიდნული ტექსტები *ფერეიდნული ტექსტების დაცვა, დოკუმენტირება და კვლევისთვის მომზადება.*	$ 2 759
საინიციატივო ჯგუფი "ძველი კილოები"	სვანეთის მუსიკალური საგანძური *პროექტით გათვალისწინებულია სვანეთის მუსიკალური მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, თანამედროვე აუდიო და ვიზუალური საშუალებებით დაფიქსრება.*	$ 4 000
ბაჩანა ბრეგვაძე	დრო და მარადისობა *წიგნის „დრო და მარადისობა" (ორი ტომი) მომზადება და გამოცემა. მსოფლიო ფილოსოფიური და მეცნიერული აზრის უთვალსაჩინოეს წარმომადგენელთა ნაშრომების თარგმანები, რომელთა უმრავლესობაც ქართულად პირველად ქვეყნდება.*	$ 6 000
"პიონერფილმი"	პიონერფილმი *„პიონერფილმის" ტექნიკური ბაზის განახლება და გაძლიერება სტუდიის საქმიანობის განვითარების მიზნით.*	$ 3 539
გიორგი ოქროპირიძე	მოდერნის არქიტექტურული მემკვიდრეობის რესტავრაცია *საქართველოში ავსტრიელი რესტავრატორების მიერ თეორიული და პრაქტიკული ტრენინგის ჩატარება მოდერნის არქიტექტურული მემკვიდრეობის რესტავრაციის თანამედროვე ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით.*	$ 3 010
საინიციატივო ჯგუფი "ანჩისხატის ტაძრის გუნდი"	უნიკალური ქართული სასულიერო და საერო მუსიკის ფოტოარქივი (სანოტო და პერსონალური) *უნიკალური ქართული სასულიერო და საერო მუსიკის ფოტოარქივის (სანოტო და პერსონალური) შექმნა.*	$ 6 119
თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილება	საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი (ბრინჯაოს ხანიდან ფეოდალური ხანის სამარხებში) ძვლოვანი მასალის შესწავლა, კატალოგიზაცია *საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი (ბრინჯაოს ხანიდან ფეოდალური ხანის სამარხებში) ძვლოვანი მასალის (თავის ქალას) აღწერა; ორენოვანი კატალოგის მომზადება და გამოქვეყნება.*	$ 3 925
საინიციატივო ჯგუფი	ქვათა შეკრების დრო *კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და მოვლის ფონზე ეთნოკონფლიქტის გამო გაუცხოებული ქართველი და ოსი ახალგაზრდების დაახლოება.*	$ 5 749
ქ. ონის რაიონული ბიბლიოთეკა	ონის რაიონული ბიბლიოთეკის (საბიბლიოთეკო გაერთიანების) სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის განვითარება *ქ. ონის რაიონული ბიბლიოთეკის სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ბიბლიოთეკაში სხვადასხვა ხანგრძლივობის შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებების განხორციელება.*	$ 1 131
ასკარ (ბაჩი) ქიტიაშვილი	როკჯგუფის „ბერმუხა" საიუბილეო კონცერტი *როკჯგუფის „ბერმუხა" 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტის მოწყობა.*	$ 438

ქ. ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა	ინფორმაცია და ხელოვნება ხალხის სამსახურში *ქ. ხარაგაულის საინფორმაციო ცენტრთან მედიათეკის შექმნა, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ხელოვნებისა და კულტურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე ცენტრში სხვადასხვა შემეცნებით-კულტურული ღონისძიებები.*	$ 3 580
"ბეთქილი"- ზემო სვანეთის კულტურული განვითარების ხელშეწყობის კავშირი	ზემო სვანეთში მობილური მულტიმედიური ცენტრის შექმნა *მობილური მულტიმედიური ცენტრის შექმნა, რომელიც მოემსახურება და უზრუნველყოფს სვანეთის მოსახლეობას ინფორმაციითა და შემეცნებით-კულტურული ფილმებით.*	$ 4 731
არასამთავრობო სათემო საზოგადოება „კაი ყმა"	კულტურის დეფიციტი - სულის სიღატაკე *სოფ. ბოდბისხევში კულტურულ -საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა ინფორმაციული იზოლაციის დასაძლევად.*	$ 3 084
ა/ო "მარნეულის დემოკრატ ქალთა საზოგადოება"	პარალელები *ქ. მარნეულში ინტერკულტურული კლუბის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; სხვადასხვა საგანმანათლებლო კულტურული პროგრამების განხორციელება (მაგალითად, ქართული ენის შესწავლის კურსები აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობისთვის, საქართველოს ისტორიის შესწავლა ქვემო ქართლის სხვადასხვა ნაწილში ახალგაზრდებისთვის ექსკურსიების მოწყობის გზით და სხვა).*	$ 3 418
კავშირი "ორიენტირი"	სოფ. ველისციხის საინფორმაციო-კულტურული ცენტრი *სოფ. ველისციხეში საინფორმაციო-კულტურული ცენტრის დაარსება და საგანმანათლებლო კულტურული ღონისძიებების განხორციელება.*	$ 3 937
ქ. ქუთაისის ი.ჭავჭავაძის სახ. სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკა	საინფორმაციო სერვისი ქ. ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალურ ბიბლიოთეკაში: ბიბლიოთეკა - კულტურის საინფორმაციო ცენტრი *კულტურის საინფორმაციო ცენტრის დაარსება და საინფორმაციო მომსახურების წარმართვა ქ. ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალურ ბიბლიოთეკაში.*	$ 3 841
კავშირი "ვალე"	ქართული და სომხური კულტურისა და ხელოვნების ინტეგრაციის ცენტრი *ქ. ვალეში ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ქართული და სომხური კულტურისა და ხელოვნების ინტეგრაციის ცენტრის შექმნა.*	$ 3 122
